

# ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო №34, აპრილი, 2016 წელი

## ილორის წმინდა გიორგის ეკლესია



დავით გაბაღუს ნახატი

აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონის სოფ. ილორში მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „ზღვის კიდუხედ... არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა... უგუმბათო, მცირე, მდიდარი და შემკული.“

ილორის წმ. გიორგის ეკლესია XI საუკუნის I მეოთხედშია აგებული ოდიშის საერისთავოში. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, იმდროინდელი ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი მოხდენილი პროპორციებით. იგი აფხიდით დასრულებული ერთნაგიანი ნაგებობაა, რომელსაც ჩრდი-

ლოეთით, სამხრეთით და დასავლეთით სხვადასხვა დროინდელი მინაშენები აქვს. ეკლესიას კარები დასავლეთიდან და სამხრეთიდან აქვს, ხოლო შიდა სივრცე განათებულია ექვსი სარკმლით. ეკლესია მოხატული ყოფილა ფრესკებით. უკანასკნელ ხანებამდე ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ჩასმულ ქვის ფილებზე შემორჩენილი იყო ხუთი ქართული ლაპიდარული (ქვაზე ამოკვეთილი) წარწერა.

გაგრძელება გვ. 9

## აფხაზეთი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ

წლეულს, 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 25 წელი გასრულდა. ამ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში 1918 წლის 26 მაისს მიღებულმა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტმა დაუდო საფუძველი.

1919 წლის 20 მარტს აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო – „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“, რომელშიც ჩაინერა, რომ აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ერთეული შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოებრიობის წიაღს დაუბრუნდა და საგულისხმოა, რომ ამ გადაწყვეტილების უკან იდგნენ აფხაზები. ისინი ამავე დროს ხელს აწერდნენ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. კონკრეტულად ვინ იყვნენ ეს ადამიანები და ზოგადად, 1918 წლის 26 მაისის მნიშვნელობაზე გვესაუბრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ჯემალ გამახარია.

გაგრძელება გვ. 8



სოსუმი XX საუკუნის დასაწყისში

სოხუმური თეატრალური ამბებით სავსე საიუბილეო საღამო



83.3-4

როსტომ ჩხეიძის მიერ დახატული პორტრეტი პავლე ინგოროყვასი



83.6

გენო კოჩია



აივთილიანი ლილა და სოკოხაუნი

სამკალი – ფრიადი

83.7



გურამ ყურაშვილის ხსოვნას

83.10

# კულტურის სტრატეგიის დოკუმენტში აფხაზეთის საკითხებიც აისახა

## სალომე თორია



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების შემდეგ, ვიდრე მას საქართველოს მთავრობა დაამტკიცებდეს, თბილისსა და რეგიონებში დოკუმენტის საჯარო პრეზენტაციები მოაწყო.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში პრეზენტაციაზე ასევე მიიწვიეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია და აფხაზეთის არ განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი.

შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის არ განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და აფხაზეთის კულტურის სფეროს წარმომადგენლები.

პრეზენტაციას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე უძღვებოდა. მან დამსწრეთ გააცნო დოკუმენტზე მუშაობის პროცესი, რომელიც 2015 წლის დასაწყისიდან კულტურის სტრატეგიის გაზამკვეთის შემუშავებით დაიწყო.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან ხარატიშვილმა წარადგინა კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის სტრუქტურა – ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები, მოსალოდნელი შედეგები, მიზნები და ამოცანები.

ამ პროცესის საჯაროობის, გამჭვირვალობისა და ჩართულობის პრინციპის გათვალისწინებით, შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაზიარების მიზნით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ პირველ ეტაპზე არაერთი შეხვედრა გამართა კულტურისა და შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ექსპერტებთან და სხვ. შეხვედრები გაიმართა ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და აფხაზეთის კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან. მათ დოკუმენტის სტრატეგიული მიმართულებებისა და ამოცანების თაობაზე საკუთარი შენიშვნები და რეკომენდაციები წარმოადგინეს. აქედან გამომდინარე, დოკუმენტის პრეზენტაციისას ვახტანგ ყოლბაიამ და დიმიტრი ჯაიანმა მადლობა გადაუხადეს მიხეილ გიორგაძეს კულტურის სტრატეგიის პროექტის შემუშავებაში აქტიურად ჩართვისა და აფხაზეთთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების დოკუმენტში გათვალისწინებისათვის.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს განცხადებით, კულტურის სტრატეგიის მიზანია, განსაზღვროს საქართველოში კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის განვითარების გრძელვადიანი ხედვა, რომელიც წარმოაჩენს როგორც კულტურის თანდაყოლილ ღირებულებას, ასევე, მის მნიშვნელობას ეროვნული იდენტობისა და სოციალური ერთობის განმტკიცებასა და ქვეყნის მდგრად განვითარებაში.

## აფხაზეთის ხუროთმოძღვრული რუკა უფრო ღაფუსტდება

### ქეთევან ღვინია


აფხაზეთის არ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურმა აფხაზეთის ხუროთმოძღვრული რუკის ელექტრონულ ვერსიაზე მუშაობა დაასრულა. რუკაზე დატანილი იქნა 150 არქიტექტურული ნაგებობის კოორდინატი, არსებული მდგომარეობის მითითებით.

რუკის კიდევ უფრო დაზუსტების მიზნით აფხაზეთის არ განათლებისა და კულტურის სამინისტროს არც გალერეაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა იმ ადამიანებთან, რომელთაც აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უმუშავიათ ან ფლობენ ინფორმაციას, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად ისინი. შეხვედრას ესწრებოდა აფხაზეთის არ განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი.

სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის უფროსმა ირაკლი გელენავამ დამსწრეთ წა-

რუდგინა აფხაზეთის ხუროთმოძღვრული რუკის ელექტრონული ვერსია და სთხოვა მათ, რუკის სრულყოფის მიზნით თავიანთი შენიშვნები და წინადადებები გამოეთქვათ. ამის შემდეგ აზრი გამოთქვეს: აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა - ჯემალ გამახარია, ნუგზარ მგალობლიშვილმა და აკაკი გასვიანმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა რეზო ხვისტიანმა, აფხაზეთის არ მთავრობის წარმომადგენელმა შერმადინ შარია და სხვ.

საბოლოოდ, ყველანი შეთანხმდნენ, რომ აფხაზეთის ხუროთმოძღვრული რუკის შესადგენად ძალიან შრომატევადი სამუშაოა განეული და მასში ცვლილებების შეტანის შემდეგ აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის რიცხოვნობა უფრო მეტად დაზუსტდება. ეს გარემოება კი სამომავლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოძიებას გააძაბავს.



## პარლამენტში აფხაზეთში ქართულ ენაზე სწავლების აკრძავა იმსჯელეს

### საკუთარი ინფორმაცია

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებზე იმსჯელეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის, საგარეო ურთიერთობათა, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის და დიასპორის და კავკასიის საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე.

სხდომის მიზანი ხელისუფლების ყველა შტოს პოლიტიკური, სამართლებრივი და დიპლომატიური ძალისხმევის გააქტიურებაა გალის რაიონის მკვიდრთა განათლების უფლების დასაცავად, ასევე, საკითხის შემდგომი აქტუალიზაცია, საერთაშორისო ორგანიზაციების გააქტიურების მიღწევა, რათა ოკუპირებულ ტერიტორიაზე განხორციელდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გარანტირებული განათლების უფლების მონიტორინგი.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დეპუტატებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილემ მანანა ქვაჩაიამ გააცნო. მისი თქმით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე კვლავ გრძელდება ქართული მოსახლეობის უფლებების შელახვა. ამ მხრივ, უკიდურესად არის ვითარება გამწვავებული გალის რაიონში, რომელიც მუდამ იყო და დღესაც რჩება უპირატესად ქართულ რეგიონად. „კონფლიქტის დასრულებიდან 20 წლის განმავლობაში ოკუპანტები და სეპარატისტები თანმიმდევრულად ეწევიან

ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ ფიზიკური და კულტურული გენოციდის მიზანმიმართულ პოლიტიკას. რაიონს აკონტროლებენ რუსული საოკუპაციო ძალები. მოქალაქეები ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს არიან მოკლებულნი“, – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

მანანა ქვაჩაიამ ოკუპირებული გალის რაიონის საგანმანათლებლო სისტემის მდგომარეობა მიმოიხილა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენის სწავლებისა და სტატუსის შესახებ ისაუბრა და მოსწავლეთა და მასწავლებელთა უფლებების დარღვევის ზოგადი სურათი და ფაქტები გააცნო დეპუტატებსა და მოწვეულ სტუმრებს. ასევე, ისაუბრა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვით გამოწვეულ იძულებით გადაადგილებაზე ოკუპირებული ტერიტორიიდან საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ოკუპანტები და სეპარატისტები კატეგორიულად კრძალავენ მშობლიურ ენაზე განათლების მიღებას. „ომამდე, იქ არსებული ზოგადსაგანმანათლებლო 58 სკოლიდან, მხოლოდ ორი იყო რუსული, დანარჩენში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ამჟამად გალის რაიონში 31 სკოლაა, აქედან 20 ქართული სკოლა იძულებითი წესით რუსულ სწავლებაზე გადაყვანილი, დანარჩენი 11 სკოლა გასული წლის სექტემბრიდან ეტაპობრივად გადაჭრულ რუსულენოვან სწავლებაზე და ეს ხდება მაშინ, როდესაც რაიონში მოსწავლეთა კონტინგენტის 98 %-ს ქართველები შეადგენენ“, – განაცხადა მანანა ქვაჩაიამ. მისი

თქმით, ტყვარჩელის და ოჩამჩირის რაიონის სკოლებსა და საბავშვო ბაღებში 2008 წლიდან მთლიანად აიკრძალა ქართულ ენაზე სწავლება, ქართული სახელმძღვანელოების გამოყენება, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლა. სასკოლო ატესტატებში მოსწავლეებს მშობლიურ ენად უწერენ არა ქართულს ან აფხაზურს, არამედ რუსულ ენას.

ვე პრეზიდენტის, პრემიერის და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ტრიბუნიდან არაერთხელ თქმულა. „ჩვენი იურისდიქცია არ ვრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე. სხვადასხვა უწყებები დიპლომატიურს ურთიერთობებით ცდილობენ ამ რთული საკითხის მოგვარებას“, – აღნიშნა ვახტანგ ყოლბაიამ.

დროებითი კომისიის თავმჯდომარის,



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ ყოლბაიას მოსაზრებით, ეს საკითხი მტკიცებულა არა მხოლოდ აფხაზეთის მოსახლეობისთვის, არამედ სრულიად საქართველოსთვის. აღნიშნულ თემაზე როგორც გაეროს ტრიბუნიდან, ასე-

გიორგი ვოლსკის განმარტებით, „ინფორმაცია, რომელიც მოვისმინეთ, მნიშვნელოვანია. ყველა საკითხს, რაც აქ ითქვა, კრიტიკული იყო თუ არა, აქვს თავისი ნიშა. მოდით, ვიმუშაოთ იმ თემებზე, რაც დღეს სხდომაზე მოვისმინეთ“, – განაცხადა მან.

# სოხუმური თეატრის თეატრალური აქტივობებით სავსე საიუბილეო სეზონი

## ნატო კორსანტია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, სამინისტროს ხელოვნებისა და მიმდინარე ღონისძიებების სამსახურის ორგანიზებით, ვალერი არქანის არტ-გალერეაში საქართველოს სახალხო არტისტების: სერგო პაჭკორიას, გიორგი რატიანისა და თინა ბაბლიძის საიუბილეო საღამო გამართა. სამივე მსახიობი 60 წელი იდგა სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე და სხვა მსახიობებთან ერთად ქმნიდა ამ თეატრის ისტორიას. მათ აქ არაერთი დიდი ოსტატობით აღბეჭდილი სახე შექმნეს ისეთ გახმაურებულ სპექტაკლებში, როგორიცაა: „დიდოსტატის მარჯვენა“, „ფსკერზე“, „1932 წელი“, „ბრძოლა ტახტისათვის“ და სხვ.

საიუბილეო საღამოს აფხაზეთის არ განათლებისა და კულტურის მინისტრი, თავდაცვით საქართველოს სახალხო არტისტი დიმიტრი ჯაიანი უძღვებოდა. საღამოს გზადგა იუბილარი მსახიობების მიერ განსახიერებული როლების ფრაგმენტები გასდევდა და კიდევ უფრო აცოცხლებდა, უფრო შთაბეჭედავს ხდოდა.

სერგო პაჭკორიას, თინა ბაბლიძეს და გიორგი რატიანს იუბილე მიულოცეს კოლეგებმა, რეჟისორებმა, კომპოზიტორებმა, უბრალოდ, გულშემატკივრებმა. მათმა გულწრფელმა, სიყვარულითა და ემოციით სავსე მოგონებებმა კი, არა მხოლოდ სამი მსახიობის, არამედ მათთან განუყოფელი მთელი დასის შემოქმედებითი ცხოვრება წარმოაჩინა, რაც საბოლოოდ დიდ თეატრალურ ზეიმში გადაიზარდა. თითოეული გამოსვლა იმდენად საინტერესო იყო, იმდენად ავსებდა ერთმანეთს და მთლიანობაში კრავდა თეატრის ისტორიას, რომ შესამცირებლად დაგვეჩვენა და თითქმის სრულად გთავაზობთ.

### დიმიტრი ჯაიანი:

- ჩვენ დღეს სოხუმის თეატრის სამი უბრწყინვალესი მსახიობის, ჭეშმარიტად სახალხო არტისტები – თინა ბაბლიძის, სერგო პაჭკორიას და გიორგი რატიანის მოფერება გადავწყვიტეთ, მათთან ერთად გატარებული დღეებისა და წლების გახსენება. რაც იმის დასტურიცაა, რომ სოხუმელ მაყურებელს ახსოვს ეს ადამიანები, რომელთა ზურგზეც იდგა სოხუმის თეატრი.

ამიტომაც მოვიწყვეთ ის უძვირფასესი ადამიანები, რომლებიც სოხუმის თეატრში მუშაობდნენ ან მხოლოდ შეხების ნერტილი ჰქონდათ მასთან. ესენი არიან: რეჟისორები, მსახიობები, დრამატურგები, თეატრმცოდნეები, კომპოზიტორები, უბრალოდ, მაყურებლები; ადამიანები, რომლებიც ჩვენს გვერდით იდგნენ ყოველთვის, როცა გვიჭირდა თუ გვიხინდა. ცხადია, მოვიწყვეთ გოგი ქავთარაძე, რომლის რეჟისორობის პერიოდი სოხუმის თეატრში ოქროს ხანად შეფასდა.

მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ თინა ბაბლიძეს მისი არაჩვეულებრივი როლებისათვის, იმისთვის რომ გვეფერებოდა, გვაპურებდა და გვათბობდა, ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით; რა უნდა ვუთხრა სერგო პაჭკორიას, მან სოხუმის თეატრს აჩუქა საოცარი დღეები და წლები, რომელიც ყოველთვის ემახსოვრება სოხუმელ მაყურებელს; ასევე მინდა მოვეფერო გიორგი რატიანს დიდი პროფესიონალიზმისა და სიყვარულისთვის.

ჩვენ აქ ამ მსახიობების მიერ შესრულებული როლების ფრაგმენტებსაც ვნახავთ. მათ გვერდით გამოჩნდებიან სხვა მსახიობებიც, რომელთაც ასევე გადაუარათ სოხუმის თეატრის ცხოვრების ტალღამ. მომავალში მათაც გავიხსენებთ და იმ ახალგაზრდებსაც, რომლებიც აფხაზეთის ომში, საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში დაეცნენ.

როცა სოხუმის თეატრის ისტორიაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია, არ გავიხსენოთ აფხაზი მსახიობები: შარხ ფაჩალია, ნურბეი კამკია, ამირან ტანია, რუშნი ჯოჰუა და სხვები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს გარდაცვლილები. უკვე არ არის ის დრო, როცა ჩვენ ის უნდა ვითვალთ, ვის რა დანაშაული მიუძღვის მომხდარ ტრაგედიაში. ჩვენ ახალი ურთიერთობები უნდა ვაშენოთ.


და ბოლოს, მიმართა, რომ ამ შეხვედრის მოწყობით, ამ ადამიანების აქ მოწვევით და ძალიან ლამაზი დღეების გახსენებით, ჩვენ უპირველესად, საკუთარ თავს ვცვით პატივი.



თინა ბაბლიძე



სერგო პაჭკორია



გიორგი რატიანი

### ნათია არველაძე, თეატრმცოდნე:

- მაშინ როდესაც დღევანდელ თეატრს პიროვნებები დააკლდა, სოხუმის თეატრი სწორედ პიროვნებებით გამოირჩეოდა და ამის საუკეთესო ნიმუში იყო სერგო პაჭკორია. თბილისიდან საგანგებოდ ჩავდიოდით მის სანახავად, სხვა მსახიობების სანახავად. თინა ბაბლიძე „ბერნარდა ალბას სახლი“ თამაშობდა და სპეციალურად ჩავდიოდით სოხუმში, რათა დაგვეჩვენა, როგორ უყურებდა თინა ბაბლიძის პერსონაჟი თავის დებს. მათ მიღმა იყურებოდა და თითქოს მწვერვალი უშლიდა ხელს რეალობის აღქმაში. სერგო პაჭკორიას არა მარტო პერსონაჟი გამოჰყავდა სცენაზე, არამედ პიროვნება სერგო პაჭკორია, რომელიც ახლა ამ პერსონაჟის დახმარებით ამყარებდა კონტაქტს დარბაზთან. ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა, იმიტომ, რომ შეიძლება კარგად ითამაშო როლი, მაგრამ პიროვნება ვერ შექმნა.

მის ორ როლს გავიხსენებ მხოლოდ: ზვიად სპასალარი – შემოდიოდა სცენაზე ღირსეული პიროვნება. მეორე როლი სპექტაკლი „ფსკერზე“, ბატონი სერგოს ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია სოხუმის თეატრში. თითქოს არც ისე დიდი როლი იყო, მაგრამ სულ სცენაზე იდგა და ვხედავდით, როგორ თანდათან ქრებოდა ჩვენს თვალწინ ღირსება ადამიანისა. როდესაც მსახიობი ასეთნაირად აზროვნებს, ეს მეტამორფოზა მოაქვს სცენაზე, ნიშნავს, რომ ის თავად არის ღირსეული ადამიანი.

მე და გიორგი რატიანი ინსტიტუტიდან ვმეგობრობთ, თანაკურსელები ვიყავით. მინდა გავიხსენო ერთი მოვლენა, რომლის წინაშეც ქედს ვიხრი. მოხდა ისე, რომ სოხუმში გაიხსნა რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ხოლო ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის გახსნა პრობლემა იქცა. მოგვიანებით, გიორგი რატიანმა შეძლო სოხუმში ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის შექმნა და როდესაც პირველი სპექტაკლი მხოლოდ გამოცდების შემდეგ თბილისში ითამაშეს, იმ დღეს ვიფიქრე: თუ მოხდება სასწაული და ჩვენ ისევ ჩავალთ სოხუმში, მაშინ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა უნდა იყოს ამ თეატრის პროპაგანდა, იმიტომ, რომ თუ ბავშვს პატარაობიდანვე, აკვნის ასაკიდანვე „ივანანა“ არ უმღერე და შემდგომ „ივანანა რა ჰქმნა!“ არ ნააკითხე, ქართული ენა არ მოასმენინე სცენიდან, არაფერი გამოგივა.

ყოველივე ამისთვის მდაბლად გიხრით თავს სამივეს და მადლობას გწირავთ, რომ არაერთხელ განიცდიდა სიხარული თქვენი შემოქმედების გამო.

### ზანტაზნა ყოლაძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:

- ძალიან ამაღლებელი საღამოა, გადამდები ემოციებითა და განცდებით. თეატრი ხომ ადამიანებისთვის მუდამ იყო იმედის, მუდმივი განახლების, სიხარულის, მრავალფეროვანი განცდის საწყარო. განა შეიძლება გავიხსენო ალექსანდრე ბუნიაკოვის თეატრი და მისი დასი, რომელთან ერთადაც გადავიტანეთ ყველა ჭირ-ვარამი. ის ხომ წლების განმავლობაში ქმნიდა შედეგებს, რომლებიც გულგრილს არავის ტოვებდა. სოხუმის თეატრი სახელოვნად განაგრძობს სიცოცხლეს საქართველოს დედაქალაქში. შეიძლება უჭირს, სტივია, ბევრი რამ აკლია, მაგრამ სიმტკიცე, პროფესიული თავმოყვარეობა, მაყურებლის სიყვარული, საკუთარი კუთხისადმი ერთგულება მისთვის ყველაფერზე მაღლა დგას. ამიტომაც არის მუდამ წარმატებული მისი სპექტაკლები და პრემიერები.

მადლობა საქართველოს სახალხო არტისტებს – ქალბატონ თინას, ბატონ სერგოს, ბატონ გიორგის სოხუმის თეატრში განუვლი უდიდესი ღვაწლისთვის, იმისთვის, რომ ბევრი სიხარულის წუთი გვაჩუქეს! მათ მიერ განსახიერებული როლები დაუფიქრებია. ასევე არ შემიძლია მადლობა არ ვუთხრა გოგი ქავთარაძეს, რომელმაც სოხუმში თეატრალური დღესასწაულების მომსწრენი გაგვხადა და კიდევ უფრო გაგვიღვივა სიყვარული თეატრისადმი, ხელოვნებისადმი. მახარებს ისიც, რომ ყველას გვეყვარა სოხუმში ერთად დაბრუნების!

### დავით კობახიძე, რეჟისორი:

- დიდი სიამოვნებით მივსალმები სამივე იუბილარს – ქალბატონ თინას, ბატონ სერგოს, ბატონ გიორგის! მე მათთან ერთად მიმუშავებია და მახსოვს ის სიამოვნება, რაც ამ შესანიშნავი მსახიობების შემოქმედებას ჩემთვის მოუნიჭებია.

ერთი რამ მინდა ვთქვა, რაც აქ არ თქმულა და რაც საერთოდ, არც მსმენია. თქვენ იცით, რომ თეატრი და კონფლიქტი სინონიმებია. ძირითადად, ბრძოლა ხდება თაობებს შორის, ამ დროს ახალგაზრდა, საშუალო თაობა ყველაზე აქტიურია ხოლმე: მათ გამოცდილება დააგროვეს, უკვე იციან, რა აკეთონ, მაგრამ როლებს არ აძლევენ და დამკვიდრებისთვის იბრძვიან. სოხუმში ჩასვლა მაშინ მომიწია, როცა ამგვარი კონფლიქტი დამთავრებული იყო. თუმცა შეუიარაღებელი თვალთვალს კარგად ჩანდა, რომ რიცხოვნობა, შესაძლებლობებით თუ სხვა მონაცემებით ძლიერი იყო საშუალო თაობა. ამიტომაც ბუნებრივად გადავწყვიტე, აქცენტი ამ თაობაზე გამეკეთებინა. სენი იყვნენ: სერგო პაჭკორია, გიორგი რატიანი, თინა ბაბლიძე, ბაზა ბეჭაური, ლეო ფილფანი... უძლიერესი მსახიობები და რაც მთავარია, როგორც გოგი ქავთარაძემ თქვა: კაცები, მამაკაცები.

ეს თაობა იყო ნამყანი ძალა სოხუმის თეატრში ჩემს დროსაც და მერვეც, უნიჭიერესი და უძლიერესი თაობა, რომლითაც ნებისმიერი თეატრი დაიტრიალებდა. ამ თაობას ფეხდაფეხ მოჰყვებოდა არანაკლებ ნიჭიერი ახალგაზრდობა: დიმიტრი ჯაიანი, ნუგზარ ყურაშვილი, გიზო სირაძე, ვალერი არღვლიანი, ლილა კალანდია, თამრიკო მილდიანი, რომლებიც უკვე ითხოვდნენ მოსვლას. ყველა მთავარმა რეჟისორმა იცის, როდის მზადდება სკანდალი თეატრში. მე სულ ველოდებოდი, ახლა მოხდა სოხუმის თეატრში სკანდალი და ახლა-მეტი. და მოხდა ის, რაც არსად წამიკითხავს, არც გამიკითხავს, გოგი ქავთარაძის მთავარი რეჟისორობის დროს, საშუალო თაობამ ყოველგვარი სკანდალის გარეშე, კეთილშობილურად დაიხია უკან და შემოუშვა ახალგაზრდა თაობა. ჩემთვის სოხუმის თეატრი, მის არაჩვეულებრივ მსახიობებთან ერთად, ამ განსაკუთრებულ მოვლენასთანაც ასოცირდება.

ქალბატონ თინა, ბატონო სერგო, ბატონო გიორგი, სამივეს გილოცავთ დღევანდელ დღეს! იყავით ბედნიერები და ღმერთმა ქნას, რომ თქვენი შემდეგი იუბილე სოხუმში აღგვიწმინდოს!

გაგრძელება - მე 4 გვ.



### ბობი ძავთარაძე, რეჟისორი:

- აქ ძალიან ბევრ ნაცნობ სახეს ვხედავ, ჩვენს მეგობრებს, ადამიანებს, რომელთა გარეშე სოხუმის თეატრი არ იარსებებდა. იმ ურთულეს პერიოდში ჩვენ არასდროს დაგვიხვამს საკითხი ასე, როგორ უნდა ვებრძოლოთ აფხაზებს. თავიდანვე განვაცხადე, რომ კარგი თეატრი და კარგი სპექტაკლი უნდა ყოფილიყო ჩვენი ბრძოლის ფორმა და არა მიტინგებზე დგომა და ვილაცხვებების შეურაცხყოფა. ასეც იყო, სხვანაირად არაფერი გამოვიდოდა, სოხუმის თეატრი იყო აფხაზეთში ქართველი ერის სადარაჯოზე მდგარი ციხესიმაგრე და ეს მსახიობებიც ამ სადარაჯოზე იდგნენ... ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით შინ თუ გარეთ – გასტროლებისას, ამან გავაძლებინა და გავგამარჯვებინა. გამარჯვებას ვუნოდებ სოხუმის თეატრის 80-იანი წლების შემოქმედებას – ძალიან დიდი შრომისა და რუდუნების შედეგს. იმ დროს გახდა სოხუმის თეატრი კონსტანტინე გამსახურდიას სახელობისა და ესეც დიდი ამბავი იყო. ისე, იოლად არ მომხდარა მაშინ თეატრისათვის ამ სახელის დარქმევა.

თავიდანვე მინდა ვთქვა, სოხუმის თეატრი იყო კაცების, მამაკაცების თეატრი! გურამ ბათიაშვილის პიესა „1932 წელი“ რომ დავდგით, სერგო პაჭკორია იყო გიორგი ფალავანდიშვილის როლში, სპექტაკლში თამაშობდნენ გიზო სირაძე, ვალერი არღვლიანი... სცენაზე იდგნენ კაცები, ლამაზი მამაკაცები... და ეს ძალიან კარგი სანახავი იყო... როდესაც კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ დიმი ჯაიანი მეფე გიორგის განსახიერებდა, სერგო პაჭკორია – ზვიად სპასალარს, გიორგი რატიანი კი ფარსმან სპარსს, ეს ხომ მარტო ჩვენი საკუთრება კი არა, მთელი ქართული თეატრის საკუთრება იყო. ამაში არავითარი გადაჭარბება არ არის. მადლობა მინდა, ამისთვის გითხრა, ბატონო სერგო, ბატონო გიორგი, მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ თინას ყველაფრისათვის და მათ შორის დაისახლისობისთვისაც, რასაც ის გვინწყვდა.

თეატრი ძალიან უცნაური დანესებულებაა, მაგრამ ჩვენ ბევრად უფრო მეტი სიყვარული და მოფერება გვქონდა ერთმანეთის მიმართ, ვიდრე სხვა თეატრებში იყო. რამდენი სიხარული განვიცდია ერთად, რამდენ გასტროლზე ვყოფილვართ, სადაც ადამიანი ყველაზე მეტად ამჟღავნებს საკუთარ თავს, რამდენი სტუმარი მიგვიღია და გავგიცილებია, რამდენი რამ გადაგვხდენია თავს, რამდენი გვაქვს გასახსენებელი, რამდენ რამეს ვერასოდეს დავიწყებთ.

ერთხელ სპექტაკლი დავდგით: „ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს!“.. კაცებს კოსტიუმები ჩავაცვით, ქალებს – საღამოს კაბები და რომ შემოვიდნენ სცენაზე, იმდენად ლამაზები იყვნენ, რომ მაყურებელი ფეხზე ადგა და დიდ ხანს უკრავდა ტაშს; როდესაც ჩვენი სპექტაკლი „ერთი ცის ქვეშ“ სავასტროლოდ მიგვექონდა, ყველას ეგონა, რომ მომღერალი და მოცეკვავე ბოშების როლებში ნამდვილი ბოშები გვყავდა დაქირავებული რომელიმე თეატრიდან.

ძალიან მიყვარხართ ყველანი. კიდევ ბევრი რამ მინდა გითხრა, მაგრამ ერთი შეხვედრა ამ სათქმელს ვერ გადმოსცემს.

# სოხუმური თეატრის თეატრალური აქტივობები სხვადასხვა სახეობის სპექტაკლებით

მე-3 გვერდიდან

## ბენი კალანდია, პოეტი:

ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება სოხუმის თეატრში დაიწყო. 18 წლის ბიჭი ჩავდივარ სოხუმში. მაშინ მქონდა ერთი პიესა „უტუ მიქაია“, რომელიც სერგო პაჭკორიას მივუტანე. ეს პიესა ნაიკითხა ლეო ქვიციანი, რომელიც მაშინ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. მითხრა, შენი პიესა არ ვარგა, მაგრამ, შვილო, მოდი თეატრში და იქნებ, რამე ისწავლო. ასე დაიწყო ჩემი ურთიერთობა სოხუმის თეატრთან. მერე სოხუმის თეატრში დაიდგა ჩემი პიესა: „მთვარის საათი“. შემდეგ ვიყავი თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე. ბედნიერი ვარ, რომ სოხუმის თეატრში დამხვდნენ თინა ბაბლიძე და ოფელია ხარაძე, რომლებიც შვილობილს შექმნიდნენ და მანებებდნენ.

მადლობელი ვარ ბედის, რომ სოხუმის თეატრში დამხვდა სერგო პაჭკორია. სერგო რომ მოდიოდა პუშკინის ქუჩაზე, თითქოს მხრებით მოჰქონდა მთელი სოხუმი. მადლობა მინდა ვუთხრა გიორგი რატიანს, რომელიც ჩემი პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში „მთვარის საათი“ მთავარ როლს – მხატვრის როლს თამაშობდა...

ჩემთვის პირველი უნივერსიტეტი, აკადემია იყო სოხუმის თეატრი, სადაც იბადებოდა ქართული სული და ქართული ღირსება. არ დამავინწყდება, სოხუმის თეატრში ილია ჭავჭავაძის 120 წლისთავი გადავიხადეთ. ეს იყო სასწაული, ამის შემდეგ ანტიქართველები ჩვენს ფიზიკურ განადგურებაზეც ფიქრობდნენ. სოხუმის თეატრს მაჩაბლის თეატრსაც უწოდებდნენ, მან ხომ საქართველოს მთლიანობის შესანარჩუნებლად იბრძოდა, თეატრის მსახიობები, ტექნიკური მუშაკები შეენიშნენ ამ ბრძოლას. ვულოცავ ჩემს მეგობრებს – თინას, სერგოს, გიორგის იუბილეს და წარმატებებს ვუსურვებ.

## გურამ ბათიაშვილი, დრამატურგი:

დღეს ყველანი ერთხმად ვამბობთ, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების სოხუმის თეატრი იყო ერთ-ერთი საინტერესო, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი საუკეთესო თეატრი ქართულ თეატრალურ სივრცეში. ჩემი აზრით, გამორჩეული იყო მისი არა მხოლოდ აქტიორული შემადგენლობა და მაღალი რეჟისურა, არამედ ის, რომ თეატრი იყო ღრმად ეროვნული. იმდენად ეროვნული, რომ ეს იდეები მაყურებელშიც გადადიოდა. ხმამაღალ ნათქვამად არ გამოვიდნენ და სხვა თეატრებში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ეროვნული თემატიკა ასე აქტიურად წარმოდგენილი არ იყო. ყოველივე ამასი დიდი ბატონ სერგოსა და ბატონ ჟორას, ქალბატონ თინას დამსახურება. ამიტომ, რასაკვირველია, ღრმა პატივისცემით მივსალმები მათ, მასსოვს იმ წლების მათი საუკეთესო როლები სოხუმის ქარ-

მელიც ჩემთვის ერთ-ერთი პირველი წიგნია. როდესაც გოგი ქავთარაძემ დამირეკა და მითხრა, რომ ამ სპექტაკლისთვის მუსიკა უნდა დამეწერა, მოსვენება დავკარგე, საჭესთან ვიყავი თუ სახლში, კონსტანტინე გამსახურდია მელანდებოდა, მესიზმრებოდა, რომ ჩემს დახრწობას ლამობდა. ბორჯომის კომპოზიტორთა სახლში თითქმის ერთი თვე ვენვალე, მუსიკა გავამზადე და ჩვენს კიდევ. სატრა-ბახოდ არ ვამბობ, 50-მდე სპექტაკლის მუსიკის ავტორი ვარ, აქაც, მოსკოვშიც, ბულგარეთშიც, მაგრამ „დიდოსტატის მარჯვენა“ ჩემთვის სულ სხვა რამეა, სხვა სიხარულისა და სიამაყის მომგვრელი

## ნუზუარ წარაღანი, მსახიობი:

სოხუმის თეატრში 1970 წელს ჩავდივარ, გასვლითი სპექტაკლია, ლერი პაქსაშვილის მიერ დადგმული „ფოლა“ მიაქვთ დრანდამი. მეც მომიკიდეს ხელი, ჩვენთან წამოხვალ და წავედით. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მერხეულისკენ დავაპირე გეზის აღება, მაგრამ მტაცა სერგო პაჭკორიამ ხელი, აქ ნათლობაზე მყავხარ წამოყვანილი. ერთი სიტყვით, დრანდის სასადილოში „მომნათლეს“. მერე „ნათლობა“ გრძელდებოდა ლეო ფილფანის სარდაფში, ლენინის ქუჩაზე, ჩინჩო ჯენიას ღვინით. ეს იყო დაუვიწყარი დღეები, ჩემი სიცოცხლის ნაწილი.

მე და გიორგი რატიანი ვმეგობრობდით. გროზნოში ვართ გასტროლებზე, „დიდოსტატის მარჯვენაში“ გიორგი ფარსმან სპარსის როლშია, მიხეილ ჩუბინიძე კი მოულოდნელად ეკითხება: – კაცო, შენ მონაწილეობ ამ სპექტაკლში? ჟორა მეუბნება: – ახლა დამაცადე, ამას სამაგიეროს როგორ გადავუხდი ხვალინდელ სპექტაკლზე. მეორე საღამოა, ჩასაფრებული ვარ, რა მოხდება. სპექტაკლში მიმა მამამზე ერისთავს თამაშობს. შემოვიდა კულისებში გაოფლიანებული. მივუხმე: – თქვენ ამ სპექტაკლში ხართ? მიშას რეაქცია უნდა გენახათ: – შე, ღმერთაღლო, მე აქ ვანგრევე ყველაფერს და შეხედეთ, ეს რას მეუბნება.

რაც შეეხება თინა ბაბლიძეს, უკვე ნათქვამს მეც გავიმეორებ: თინა მუდამ ჩვენი მასპინძელი იყო. ის და ოფელია მოგვკიდებდნენ ხელს და თავიანთთან, ბინაში წავიყვანდნენ. სცენაზე კი, ყველას ვეხსოვს, როგორი იყო თინა. ფიქრიდან ვერ ამომდის თინა სპექტაკლში „ბედის ირონია“. ასევე შეუდარებელი იყო ბატონი სერგო სპექტაკლში „ბრძოლა ტახტისათვის“. მისი ბევრი კარგი როლი მინახავს. გამორჩეული იყო გიორგი რატიანი „მოკვეთილში“. სამივენი ბრწყინავდნენ მაშინ. სამივეს დიდ ხანს სიცოცხლეს ვუსურვებ.

## სერგო პაჭკორია, მსახიობი:

მადლობას მოგახსენებთ მოზრძანებისა და ჩვენი დაფასებისათვის. მას შემდეგ, რაც ამ საღამოს



## თულ დრამატულ თეატრში.

ორიოდე სიტყვას ვიტყვი ჩემს პიესაზე „1932 წელი“, რომელიც სოხუმის თეატრის შემდეგ სხვა თეატრებშიც დაიდგა. რასაკვირველია, ძალიან მომწონდა და აღფრთოვანებული ვიყავი იმ მაშაქაცურის სანყისით, რომელიც აქ გოგი ქავთარაძემ ახსენა და ძალუმად იგრძნობოდა სპექტაკლშიც „1832 წელი“. აქ ძალიან გადამდები იყო საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სულისკვეთება. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სოხუმის თეატრის ეს პერიოდი. ამიტომაც მივესალმები ამ დღის განმახორციელებელ ადამიანებს – ბატონ სერგოს, ბატონ ჟორას, ქალბატონ თინას და სამივეს დიდ ხანს სიცოცხლეს ვუსურვებ.

## სანდრო მრავლიშვილი, რეჟისორი:

1963 წელს დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი და მოულოდნელად ისე მოხდა, რომ სოხუმის თეატრში წავიდი სამუშაოდ. 3 ბრწყინვალე წელი გავატარე იქ და მინდა ვუთხრა სოხუმის თეატრის კაცებს, რომ მათ 22-25 წლის ბიჭს ძალიან ბევრი რამ მასწავლეს ვაჟკაცობის, კაცობის, სინდის-ნამუსის, სუფრის ადათ-წესების საკითხებში. სერგო პაჭკორია მეგრულს მასწავლიდა. ქორწინო, სერგო? (გახსოვს, სერგო?! – მეგრ.). ეს იყო დაუვიწყარი დღეები.

სოხუმის თეატრს ჰქონდა კიდევ ერთი ძალიან კარგი ტრადიცია: რეჟისორების გამომწოდების ტრადიცია: სერგო ქვიციანი, იური კაკულია, რეზო მირცხულავა, ანზორ ქუთათელაძე, ლერი პაქსაშვილი, ნუგზარ ლორთქიფანიძე, დათო კობახიძე... სოხუმის თეატრი პირდაპირ ბეჭდავდა რეჟისორებს და ეს წრთობა არ შედგებოდა, თუ არა დასის წევრების ღია გულითა და გამოილი ხელებით დახვედრა და მიღება ახალგაზრდებისა, რათა ესწავლებინათ მათთვის ხელოვნება, კაცობაც, ვაჟკაცობაც და კიდევ უამრავი რამ...

უღრმესი მადლობა, ჩემო ქალბატონო თინა, ჩემო სერგო, ჩემო ჟორა ყველაფრისთვის, რაც თქვენ მასწავლეთ, რაშიც თქვენ გვერდით დამიდევით!

## გომარ სინარულიძე, კომპოზიტორი:

სოხუმთან 1979 წლიდან მაკავშირებს ჩვენი საამაყო კაპელა, რომელსაც მე ჩავუყარე საფუძველი. არ გასულა ცოტა ხანი და გოგი ქავთარაძე დაინიშნა სოხუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად. ეს ის წელია, როდესაც ქართული თეატრი აფხაზური თეატრისგან ცალკე გამოვიდა. მე, ჩემდათავად, მაშინ ვამბობდი, დღეს კიდევ ვამომნებ, სწორი იყო კი ეს ნაბიჯი? ის ერთად ყოფნა სულ სხვა რამ იყო. კი, შეიძლება რთული, მაგრამ მაინც ერთად ყოფნა იყო.

ამის შემდეგ პირველი პრემიერა – „მრადისობის კანონი“ უკვე ყოფილ კინოთეატრში და ჩვენს შესანიშნავ ქართულ თეატრში ბატონმა გიზო ჟორდანიამ დადგა. ესეც საოცარი იყო. გოგი ქავთარაძემ, როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა პირველი ფარდის ახსნა, პირველი დიდი ტაში და ოვაციები ახალ თეატრში თავის უფროს კოლეგას, ბატონ გიზოს გადაულოცა. მაშინ თბილისიდან სოხუმში დიდი დელეგაცია ჩავიდა. მათ შორის იყო საქართველოს მაშინდელი განუმეორებელი კულტურის მინისტრი, ბატონი ოთარ თაქთაქიშვილი, დღეს მივიწყებული უდიდესი კომპოზიტორი; მე და ანტონ ნულუკიძე შეილებით – ჩვენი ქალ-ვაჟებით ვიყავით წასული. ამას რატომ ვამბობ, მერე ჩემს ქალიშვილს – ნინოს და მის მეგობრებს, სოხუმის თეატრის არც ერთი პრემიერა არ გაუცდენიათ. ჩასხდებოდნენ მატარებელში და მიდიოდნენ. იმ სამიწელ პერიოდშიც, როცა ყუმბარები ცვიოდა და სპექტაკლები მაინც იმართებოდა, ესენი მაინც ჩადიოდნენ იქ და დღემდე სოხუმის თეატრი მათთვის ყველაფერს ნიშნავს: ყველა სპექტაკლი, მთელი რეპერტუარი ზეპირად ახსოვს.

რაც შეეხება ჩემს პირველ ნამუშევარს სოხუმის თეატრში, ეს იყო „დიდოსტატის მარჯვენა“, რო-

თაობაზე შევიტყვე, სულ წარსულზე ვფიქრობ: სწორი იყო ჩემი არჩევანი თუ არა? კარგი უფრო მეტი მასსოვს თეატრისგან თუ ცუდი? ბოლოს იმ გადაწყვეტილებამდე მივედი, რომ სწორი იყო თეატრს რომ დავუკავშირე ჩემი ცხოვრება. რა თქმა უნდა, მეტი კარგი მასსოვს, ვიდრე ცუდი, მაგრამ პირიქითაც რომ ყოფილიყო, მაინც იგივე გზას ავირჩევდი, ვინაიდან ის მცირეოდენი კარგი და თბილი მოგონება მთლიანად ფარავს ყოველივე ცუდს.

სოხუმში 1955 წლიდან ვარ, მოგეხსენებათ, მსახიობი ხომ ნამიერი ბედნიერებისთვის ცხოვრობს, ეს არის მაყურებლის ტაში და ყვავილები. მე და ჩემს მეგობრებს არაერთი ჯილდო გვაქვს მიღებული – სიგელები, დიპლომები, სახალხო არტისტობა... რისთვისაც ჩემს ქვეყანას მადლობას ვუხდით. განსაკუთრებით მინდა, მადლიერება გამოვხატო მაყურებლის მიმართ გულწრფელი ტაშისთვის, რომელიც ხშირად სიხარულის ცრემლებს მგვრია. მინდა, მადლიერებით მოვიგონო ყველა რეჟისორი, მსახიობი, ტექნიკური მუშაკი, ვისთან ერთადაც თითქმის 60 წელი მიმუშავია. უდიდესი მადლობა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს და აფხაზეთის მთავრობას ამ თბილი საღამოსთვის. ვისურვებდი, მომავალი 90 წლის იუბილე სოხუმში ჩაგვეტარებინოს და ეს საქართველოს დალოცავდა.

ჟორას და თინას ჯანმრთელობას და დიდ ხანს სიცოცხლეს ვუსურვებ.

## გიორგი რატიანი, მსახიობი, რეჟისორი:

უპირველესად, დიდი მადლობა, რომ ეს სამი ადამიანი, სამი სახალხო არტისტი, რომელთაც სცენაზე დგომის 60 წელი გვისრულდება, ერთმანეთს შეგვავხვედრეთ. ჩემი თინა ბაბლიძე ჩემი პარტნიორი იყო. არ მომეჩივებოდა ამის თქმა, ის ყველაზე საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო ქალი მსახიობი იყო სოხუმის თეატრში. მსახიობი ქალი, რომელიც ნებისმიერ თეატრს დაამშვენებდა. თინა „მრადისობის კანონში“ რომ შემოდიოდა, სიცოცხლე შემოჰქონდა. ასევე ბრწყინვალე იყო „ბერნარდა ალბას სახლში“, სპექტაკლში „სახლი ზღვის პირას“. რა ტრაგედია მოჰქონდა! ბოლო წლებში იმდენი ემოცია დაუგროვდა, რომ დრამატულ როლებში ბრწყინვალე გახდა, პიროვნული ტრაგედია ეხმარებოდა ამაში. პირველი ზომბი სოხუმში თინას ბინას დაეცა და მეოთხე სართულიდან ქვესკნელში ჩაიტანა.

რა უნდა ვთქვა ბატონ სერგოზე. თუ სადმე ვაჟკაცური როლი იყო, მას უნდა ეთამაშა. შთამბეჭდავი იყო მისი დიდი მაშაქაცური ტორები, ან როგორ იდგა სცენაზე. „ბათა ქექიაში“, როგორც ახალგაზრდა ისე მოხუც ბათა ქექიას როლს ბრწყინვალედ ასრულებდა. ასევე არაჩვეულებრივი იყო სპექტაკლში: „ბრძოლა ტახტისათვის“ და სხვ. ის, რაც სერგომ გავაკეთა, 10 მსახიობს ეყოფოდა...

დიდი მადლობა კიდევ ერთხელ, რომ ამ გამორჩეულ ადამიანებთან და მსახიობებთან ერთად ვარ დღეს აქ. დიდ ხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას ვუსურვებ მათ.

ბოლოს, **ჯამალ ბამახარიან**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მსახიობებს – თინა ბაბლიძესა და სერგო პაჭკორიას ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისათვის, გიორგი რატიანს – სოხუმის ბავშვთა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის „ეთერი ტალღა“ დენილობაში აღდგენისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელები გადასცა. ჯემალ გამახარიან განაცხადა:

- ქალბატონო თინა, ბატონო სერგო და ბატონო გიორგი, ყველას გვახსოვს თქვენი მოღვაწეობა სოხუმშიც და თბილისშიც. ქართული თეატრი ხომ იქაც და აქაც აფხაზეთის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი იყო და არის. თქვენ დღეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელები გადმოგვცით. ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ მოვისმინეთ და რაც ისედაც ვიცოდით, თქვენ ბევრად უფრო მაღალი ჯილდოები გეკუთვნით და იმედი მაქვს, მათაც მიიღებთ.

# „უიღრი იყოს თქვენი მოზრდა ანუ სამშობლოში!“

## დალი უბილავა-დე გრააფი წარმატებული ემიგრანტი ქალი აფხაზეთიდან

მანია შონია

„...ვინც სამშობლოში ცხოვრობს, ის სამშობლოს მონატრებას ვერ აღიქვამს. ვინც შორსაა, ის ძალიან განიცდის. ჩვენს ემიგრანტებს, სამწუხაროდ, ვერ ვაქცევთ ისეთ ყურადღებას, როგორც ისინი იმსახურებენ და ამის გამო სამართლიანად არიან ნაწყენები. მე მათ მინდა ვუთხრა, ხელისუფლებები მოდიან და მიდიან, სამშობლო კი მარადიულია. კეთილი იყოს თქვენი მოზრდა ანუ სამშობლოში!“ – ასე მიმართა საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ თემურ ჭკუასელმა „წარმატებულ ემიგრანტ ქალებს“ რუსთაველის თეატრში, მათვის ამ საპატიო ნოდების მიწოდების ცერემონიაზე.



პროექტი „წარმატებული ემიგრანტი ქალები“ დემოგრაფიული აღორძინების ფონდის, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტისა და ორგანიზაცია „მე დავბრუნდებით“ ინიციატივით გაიმართა. სამდღიანი პროგრამის ფარგლებში მოეწყო ემიგრანტ ქალთა ნამუშევრების გამოფენა, შეხვედრები პარლამენტში და საპატრიარქოში უწმინდესთან და უნეტარესთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან.

საკუთარი ოჯახების რჩენა და ამ ყველაფერთან ერთად საქართველოს წარმოჩენაც შეძლეს. ამ საპატიო აღიარების მისაღებად მოწვეული იყო 15 ქალბატონი მსოფლიოს 12 ქვეყნიდან. რუსთაველის თეატრში გამართულ დასკვნით საღამოზე საითათაოდ ისაუბრეს მათ წვლილზე ჩვენი ქვეყნის საზღვარგარეთ პოპულარიზებაში.

დემოგრაფიული აღორძინების ფონდის ხელმძღვანელმა თამარ ჩიბურდანიძემ საღამოზე ხაზი გაუსვა საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას – დემოგრაფიულ პრობლემას, რომელიც 90-იანი წლებიდან ქვეყნიდან ძალიან ბევრი ქალის გასვლას მოჰყვა. მან იმედი გამოთქვა, რომ პროექტი ყოველწლიური გახდება და ემიგრანტი ქალები იგრძნობენ სამშობლოს ყურადღებასა და თანადგომას.

წარმატებულ ემიგრანტ ქალთა შორის იყო აფხაზეთიდან დევნილი დალი უბილავა-დე გრააფი, რომელიც პოლანდიელების რძალია. დალიმ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართულ-პოლანდიური კულტურული ურთიერთობების განვითარებაში. მან პოლანდიელ მეგობრებთან ერთად ჩამოაყალიბა ფონდი „არტეკო“, რომელმაც 2010 წელს პოლანდიაში ქარ-

თულ ფესტივალ „იბერიას“ უმასპინძლა. ფესტივალის ფარგლებში პოლანდიას ეწვია ანსამბლი „რუსთავი“, გაიმართა ქართველი მხატვრების ნახატების გამოფენა და ქართული კინოკლასიკის ნიმუშების ჩვენება. ფესტივალის დასრულების შემდეგ პოლანდიელებმა თავად გამოიჩინეს ინიციატივა და ასე გაჩნდა ქალაქ ლეიდენის უნივერსიტეტის უმშვენიერეს ბაღში შოთა რუსთაველის პორტრეტი. 2014 წელს ფონდის მხარდაჭერით პოლანდიაში აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების გამოფენა მოეწყო. ქართულ-პოლანდიური ურთიერთობების შენებაში თანდათან უამრავი პოლანდიელი ჩაება.

დალი უბილავა-დე გრააფს პრიზი დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა გადასცა. დალი უბილავა-დე გრააფმა თქვა: „ვალბარებ, ძალიან სასიამოვნოა, როდესაც საკუთარი ქვეყანა ასე გაფასებს. ეს სურპრიზი კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს მოტივაციას, უფრო მეტი და მასშტაბური საქმეები ვაკეთოთ უცხოეთში საქართველოს სასიკეთოდ. ჩემი პრიზი მინდა მივუძღვა ჩემს მეგობრებს, ქართველებს და პოლანდიელებს, რომლებიც ამ წარმატების თანამონაწილენი არიან. რომ არა მათი მხარდაჭერა და თავდადება, პოლანდიასა და საქართველოში ამ უზარმაზარ ფესტივალსა და პროექტებს ვერ ჩავატარებდით. მაღლობა ჩემს მეუღლეს მოთმინებისთვის, ფინანსური და მორალური მხარდაჭერისთვის. მაღლობა დედაჩემს, რომელიც ამ საღამოზე დასასწრებად საგანგებოდ გადმოვიდა აფხაზეთიდან.“

თქვა დალი უბილავა-დე გრააფმა და მზერა დარბაზის სიღრმეს გადაანდინა. მზერას მიჰყვა დამსწრეთა მხურვალე ტაში, რომლის აფხაზეთში გაგონების სურვილი იმ წუთებშიც ბევრს წვავდა. როგორც დალი უბილავა ამბობს, მისი ყველა განხორციელებულ თუ განსახორციელებელ ჩანაფიქრსაც სწორედ ეს სურვილი აცოცხლებს და აძლიერებს.

## შეხვედრამ აფხაზეთის შემოქმედებითი პოტენციალიც გახაზა

„წარმატებულ ემიგრანტ ქალად“ აღიარებიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ დალი უბილავა-დე გრააფმა ქართულ საზოგადოებას შესთავაზა ახალი პროექტი: „ოსკარი გადაეცემა... – სილია ვან დაიკის ვორქშოფები“, რაც პოლანდიურ ფონდ „არტეკოს“ მესამე პროექტია საქართველოში (გერიტ ვან დაიკის „რე-ანიმაცია დასავლურად“ (2011) და ერვინ ოლაფის „ლეიდენი-ისტორიის ფურცლები“ (2013).

ცა. გარდა ამისა, მის პორტფოლიოს მრავალი წარმატებული ფილმის წარმოებისთვის ამშვენებს ისეთი უმღლესი ჯილდოები, როგორცაა საფრანგეთის კინოაკადემიის სახელმწიფო პრემია, ორი „ოქროს დათვი“, „ოქროს ხზო“ და სხვ.

პროექტის „ოსკარი გადაეცემა... – სილია ვან დაიკის ვორქშოფები“ ერთ-ერთი პარტნიორი იყო აფხაზეთის ა/რ მთავრობა, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან, ქალაქ თბილისი მერიასთან, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტთან, სასტუმრო „ჰოლიდეი ინ-თან“ და შპს „მედიაციქს-თან“ (პოლანდია) ერთად.

სილია ვან დაიკმა კინოთეატრ „ამირანში“ (პოლანდიელი რეჟისორის გერიტ ვან დაიკის ანიმაციური ფილმების რეტროსპექტივის შემდეგ) ქართველ – კინემატოგრაფისტებს, ანიმატორებს, პროდიუსერებს, სცენარისტებს, რეჟისორებს, ოპერატორებს ვორქშოფები ჩაუტარა, მეორე დღეს კი აფხაზეთის შემოქმედებითი წრეების წარმომადგენლებს ეწვია. შეხვედრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს არტ გალერეაში გაიმართა და მას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი უძღვებოდა. შეხვედრას აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავა, აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრები და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. აქვე გაიმართა პოლანდიური ანიმაციური ფილმების რეტროსპექტივა.

პროექტის ფარგლებში საქართველოს ეწვია ოსკაროსანი პროდიუსერი სილია ვან დაიკი, პოლანდიური ანიმაციის ასოციაციის საბჭოს წევრი 1978 წლიდან. სილია ვან დაიკმა დააარსა ანიმაციური ფილმების სადისტრიბუციო სააგენტო „ანიმირებული ადამიანები“ („Animated People“), რომლის კოლექციისაშიც 10 წელიწადში 400-მდე ანიმაციური ფილმი დაგროვდა.

დიმიტრი ჯაიანმა სტუმარს შესთავაზა სიურპრიზი – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მიერ შესრულებული ქართული ხალხური სიმღერები, რამაც ოსკაროსანი ქალბატონის აღფრთოვანება გამოიწვია. „აფხაზეთის

საზოგადოებამ გამორჩეულად გულთბილად მიიღო, რაც ჩემთვის მოულოდნელი იყო,“ – განაცხადა მან. დალი უბილავა-დე გრააფმა კი აღნიშნა: „ქალბატონ სილიასთან ჩემი განსაკუთრებული სიახლოვის გამო გავხვედ და ვთხოვე მას, ხომ არ ინებებდა, მოფერებოდა იმ ხალხს, რომელსაც მე წარმოვადგენ – ჩემს დევნილებს. ერთი წუთით არ დაფიქრებულა, დიდი სიამოვნებით დამთანხმდა. მხოლოდ კინოზე არ არის ამ შემთხვევაში საუბარი. ეს იყო თბილი უესტი და თანადგომა ჩემი ხალხისადმი, რომელიც ამ ფორმით გამოხატა მან. ამ შეხვედრით კიდევ ერთხელ გავუსვით ხაზი აფხაზეთის კულტურულ პოტენციალს, აფხაზეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის შესაძლებლობებს, რომელიც შეიძლება საერთაშორისო დონეზეც წარმოჩნდეს.“

სწორედ ქართული კულტურისა და ხელოვნების უნიკალურობას გაუსვა ხაზი აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელმა ლევან ღვინჯილიამ და სტუმარს მოუთხრო ქართული ხალხური სიმღერების თაობაზე, რომელიც მისი თქმით, „ქრისტეს დაბადებამდე შეიქმნა და ქართული ტრადიციის განუყოფელ ნაწილად იქცა. იუნესკო ამ საგანძურის განსაკუთრებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებას გეგმავს. საგანძურისა, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან ჩამოსულ მსმენელს ალაფროთოვანებს“, რისი დასტური იმდღევანდელი შეხვედრაც იყო.





# როსტომ ჩხეიძე: პავლე ინგოროყვას წიგნი „გიორგი მერჩულე“ რომ ისე წაეყითხათ, როგორც საჭირო იყო... აფხაზეთის ურავლია არ მოხდებოდა!

„საერთოდ, მწერალი კი არ ირჩევს ჟანრს, ჟანრი ირჩევს მწერალს. თვითონ ჟანრი გიბიძგებს, გითრევს. მე როგორც მკითხველს, ძალიან მიყვარდა ბიოგრაფიული რომანების კითხვა, მატერიალ-დოკუმენტური ჟანრი და აღმოჩნდა, რომ ჩემთვის როგორც მწერლისთვისაც, მასობრივად ეს ჟანრი. როცა ბიოგრაფიულ რომანს წერ, არ შეიძლება, შემოიფარგლო მხოლოდ გმირის ცხოვრებით, ძალიან მჭლე და ზერელე იქნება. ეპოქა უნდა აღდგეს და ის ადამიანები უნდა გამოიკვეთოს, ვინც რომანის გმირის გარშემო მოქმედებდნენ. ასეა ჩემს წიგნებში, ასეა ყველაგან. სადაც ეს ასე არ არის, იქ ბიოგრაფია კარგავს თავის მნიშვნელობას.“

მე ძირითადად XIX-XX საუკუნეების ვიფარგლები, ჩემი ბიოგრაფიული რომანები ერთმანეთის გაგრძელებაა და ამავე დროს ყველა არის დამოუკიდებელი. ჩემთვისაც სულ უფრო მეტად გაუნათდა ეს ორი საუკუნე. მით უმეტეს, რომ არქივები გახსნილია და ბევრ ისეთ რამეზე მიგვიწვდება ხელი, რაც მანამდე მხოლოდ გადმოცემებით ვიცოდით და ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრებისათვის, – თქვა მწერალმა და მეცნიერმა როსტომ ჩხეიძემ აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან შეხვედრაზე, რომელიც აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის პროექტის – „მნივნობართა კლუბების“ ფარგლებში გაიმართა.

მკვლევარი, ესეისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, პუბლიცისტი, არაჩვეულებრივი ორატორი – როსტომ ჩხეიძე მრავალმხრივი შემოქმედია. ის ათეულობით წიგნის ავტორია, მათ შორის 18 ბიოგრაფიული რომანისა, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს ეპოქებზე, თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის მებრძოლ ადამიანებზე მოგვითხრობს. ამ შეხვედრაზე „ახალგაზრდა მწიგნობრებმა“ როსტომ ჩხეიძეს ძირითადად მის ორ ბიოგრაფიულ რომანთან – „ბედი პავლე ინგოროყვასა“ და „მოციქული“ (თედო სახოკია) დაკავშირებით დაუსვეს შეკითხვები. მწერალმა ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა ამ ორი დიდი ადამიანის ღვაწლზე, იმ ურთულეს ეპოქებზე, როდესაც მათ უწევდათ ცხოვრება და მოღვაწეობა. საბოლოოდ დაიხატა პავლე ინგოროყვასა და თედო სახოკიას საოცრად შთაბეჭდილებები პორტრეტები. ამჯერად თითქმის სრულად გთავაზობთ პავლე ინგოროყვას პორტრეტს, თედო სახოკიას პორტრეტს კი მომდევნო ნომერში იხილავთ.

### როსტომ ჩხეიძე:

პავლე ინგოროყვა იყო პიროვნება, რომელსაც არ დაუწერია არც ერთი ყალბი სტრიქონი, არ გადაუდგამს არც ერთი საჩოთირო ნაბიჯი. ის ცხოვრობდა უმძიმეს რეალობაში, საბჭოთა ჯოჯოხეთში და როცა მის ცხოვრებას აკვირდები, ხვდები, რომ არ არსებობს საზარელი რეჟიმი, რომლის პირობებშიც ადამიანმა ღირსეულად ცხოვრება ვერ შეძლოს. პავლე ინგოროყვამ ღირსეულად იცხოვრა, მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, არადა, დაბრკოლება დაბრკოლებაზე შეახვედრეს. სკოლა მოგვიანებით ექსტრენად დაამთავრა, უმაღლესი განათლების დიპლომს ვერ ეღივრა, არ ჰქონდა დაცული დისერტაცია, არც საკანდიდატო, არც სადოქტორო და ვითომ ამ ყველაფრის გამო, ცრუ მეცნიერები ადვილად ახერხებდნენ, რომ ის შეეღწეოდა, შეევიწროებინათ.


პავლე ინგოროყვა არის კაცი, ვინაც ერთადერთმა ამ სინამდვილეში დაწერა ქართული ცივილიზაციის ისტორია არა მარტო ლიტერატურის, არა მარტო ხელოვნების, არა მარტო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, არამედ ცივილიზაციის, მთლიანად, უძველესი ხანიდან, ხეთური ეპოქიდან ბოლო დრომდე. ეს ვერ შეძლო ვერავინ, გარდა პავლე ინგოროყვასი. გვირგვინი მისი შემოქმედებისა არის „გიორგი მერჩულე“. იქ ყველაფერი არის ხელმეორეხანა დაწერილი და ახსნილი. ნამდვილი განძია. „გიორგი მერჩულე“ რომ დროზე ისე წაეყითხათ, როგორც საჭირო იყო და გაეთვალისწინებინათ იქ, რაც წერია, აფხაზეთის ტრაგედია აღარ მოხდებოდა.

მის ვრცელ წიგნებს ისე წაკითხავ, როგორც რომანს. ყოველი წერილი მისი ისეა აგებული, ისეთი არქიტექტონიკაა, რომ თვალს ვერ მოწყვეტ. „გიორგი მერჩულე“ ისეთი ვრცელია, დასაწყისში შეიძლება, შეგეშინდეს, შეკრთო, მაგრამ მერე ისე გახვალ ბოლომდე, რომ გაოგნებული დარჩები.

პავლე ინგოროყვამ შეძლო ძველი ქართული სასულიერო პოეზია აღმოეჩინა. მანამდე მარტო, რომ მარტო იამბიკოები არსებობდა. იამბიკოების გარდა, პროზად დაწერილი ჰიმნები პავლე ინგოროყვამ გახსნა. აღმოჩნდა, რომ ჩვენ გვაქვს საოცარი სასულიერო პოეზია. პავლე ინგოროყვამდე ეს ამოუხსნელი იყო. ქართული სანოტო ნიმუხები მან გაშიფრა. მერე ეს სანოტო ნიმუხები უამრავ ენაზე – იაპონურ, არაბურ და ევროპის ენებზე დაიბეჭდა და კომპიუტორებმა აამტყვევლეს. ამ ყველაფერს განსაცვიფრებელი რეზონანსი მოჰყვა, იუნესკოც გამოეხმაურა, მაგრამ პავლე ინგოროყვას ესეც ჩაუშალეს. ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა მისი სახელის პოპულარიზაცია და ის, რომ ქართულ სანოტო ნიმუხებს 50-60-იანი წლების მიჯნაზე დიდი გამოხმაურება მოჰყოლოდა.

...როგორ ექცეოდნენ პავლე ინგოროყვას? მან შოთა რუსთაველზე შესანიშნავი მონოგრაფია დაწერა. საერთოდ, იმ ეპოქაზე რამდენიმე მონოგრაფია აქვს დაწერილი. პავლე ინგოროყვამ 1064 წელს დაადგინა რუსთაველის დაბადების თარიღი – 1166 წელი. მაშინ დაინყეს მტკიცება, რომ შოთა რუსთაველის დაბადების თარიღი არ იყო სწორად დადგენილი და, რომ მისი რუსთაველო-

ლოგიური ნაშრომები უმნიშვნელო ღირებულებისაა. თუმცა რუსთაველის 800 წლისთავი სწორედ 1966 წელს, პავლე ინგოროყვას მიერ დადგენილი თარიღის მიხედვით, მის გარეშე აღნიშნეს. თარიღი მიიღეს, მისი დადგენა თვითონ მიიწერეს, პავლე ინგოროყვა კი პროცესებიდან ამოაგდეს, მეტიც, მას სახელი გაუტყვეს. ასეთი რამ ხშირად ხდებოდა, პავლე ინგოროყვას ძალიან ბევრ დაკვირვებასა და შეხედულებას ნახავთ სხვების თხზულებებში, სიტყვა-სიტყვით გადმონეროვს. ეს თავის დროზე გასდობდა, მერე აღარ გაუვიდათ. ჩემი წიგნიც იმიტომ დაიწერა, რომ პავლე ინგოროყვა გამოჩენილიყო ისეთი, როგორც სინამდვილეში იყო. ეს წიგნი იმ



დროს იწერებოდა, როცა საჭირო იყო პავლე ინგოროყვას სახელის რეაბილიტაცია.

...პავლე ინგოროყვა არის მონუმენტური ფიგურა, რომელიც 20 წლისა გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ის ფოთში დაიბადა, არავითარი სახსარი არ გააჩნდა, საწყალი ბიჭი იყო, ერთმა ოფიცერმა წაიყვანა თავისთან, ჩრდილო კავკასიაში, ვლადიკავკაზში შინამოსამსახურედ. ოფიცერმა შეატყო, რომ პავლე ძალიან გონებამახვილი ბავშვი იყო და იქაურ მასწავლებლებს აჩვენა. მასწავლებლებს ის ძალიან მოეწონათ და თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში შემოიტანეს, ერთი ძალიან ნიჭიერი ბავშვია აქ და იქნებ, ნახოთო. რა თქმა უნდა, დაინტერესდნენ და პავლე ინგოროყვა ვლადიკავკაზიდან თბილისში ექვთიმე თაყაიშვილმა ჩამოიყვანა. ნახეს, რომ სხვა გონების ბიჭია, მაგრამ სკოლაში არ უვლია. მერე ექსტრენად დაამთავრა სკოლა და ძველი ქართული დამწერლობა, ძველი ჰიმნები ისე შეისწავლა, რომ 20 წლის ბიჭმა უკვე მოახდინა პირველი აღმოჩენა, რამაც ყველაფერი ამოატრიალა. მისი პირველი წიგნიც „ქართული სასულიერო პოეზია“ 1913 წელს, 20 წლისამ გამოსცა. წარმოიდგინეთ, როგორი მასშტაბის ადამიანია. მასზე ამბობდნენ, დახედავს ძველ ქართულ ხელნაწერს და მაშინვე გეტყვის, რომელი საუკუნისაა, რომელი სკოლია, ვისი ხელნაწერია და ვისი სავესტები მართალია.

პავლე ინგოროყვამ არმაზული წარწერებიდან პირველი საუკუნის ხუთი ქართული ანბანი აღმოაჩინა და გამოიფრა. 5 ასო მხოლოდ, მაგრამ ანბანი ხომ 5 ასოსთვის არ შეიქმნებოდა? ეს ნიშნავს, რომ პირველ საუკუნეში უკვე არსებობდა ქართული ასომთავრული დამწერლობა. მაშინ ეს ფაქტიც მიაფურჩეს. გავიდა დრო და აღმოჩნდა, რომ პავლე ინგოროყვა არის სავესტები მართალი. ხელახლა გამოიცა ის ნაშრომი და ეჭვი არ მეპარება, თუ მოვახერხებთ და გავიტანეთ მსოფლიო ასპარეზზე, ძალიან დიდი რეზონანსი მოჰყვება, როგორც პავლე ინგოროყვას სხვა ნაშრომები.

პავლე ინგოროყვა იყო ის ადამიანი, ვინც 20-იან წლებში ილია ჭავჭავაძის 10 ტომეული გამოსცა. ქვეყნის სათავეში მოსულები არიან ილიას მკვლელები და ამ პირობებში, მათ თვალწინ პავლე ინგოროყვამ ეს შეძლო.

ის იყო არა მარტო დიდი გონების კაცი, არამედ საოცარი ექსტაზის ადამიანი. ეს ეპიზოდებიც ყველამ უნდა იცოდეს: როცა 1921 წლის 25 თებერვლის ტრაგედია მოხდა, მაშინ პავლე ინგოროყვა იარაღით ხელში იბრძოდა თბილისის დასაცავად. და როცა ნოე ყორღანიამ გასცა ბრძანება, ჯარს უკან დახეხა, პავლე ინგოროყვამ, რომელმაც ვერ აიტანა ჯარის უკან დახევა, თვითმკვლელობა სცადა. ეს ეპიზოდი შეტანილია ალექსანდრე ქუთათელის რომანში „პირისპირ“, რომელშიც მაშინდელი ნამდვილი ამბები გადმოცემული. ნაწარმოებში იერემია გოდებანიძე ჰქვია პავლე ინგოროყვას, რაც ადვილად იმიფრება, როგორც იერემიას გოდება ბიბლიიდან. პავლე ინგოროყვამ პლუხანოვის პროსპექტზე ამოიღო

ნაგანი, თქვა, მე თბილისის დატოვებას ვერ გადავიტან და თავი უნდა მოვიკლო. მეგობრებმა წაართვეს იარაღი, შეკრეს, ფორანზე დაანვიწყეს და ისე გაიყვანეს ქალაქიდან. გამტკნარებული და გაფითრებული მიდის ჯარი და ისმის პავლე ინგოროყვას ყვირილი: რატომ არ მანებებთ თავის მოკვლას, მე თბილისის დატოვება არ შემიძლიაო.

როცა ქართული ჯარი დამარცხდა და თბილისში შემოვიდა მე-11 არმია, მაშინ თურქებმა გამოთქვეს პრეტენზია აჭარაზე. ლენინმა ბრეტ-ლიტოვსკის ზავით, მთელი აჭარა მიაკუთვნა თურქეთს. ამ ვითარებაში საბჭოთა ხელისუფლებას გენერალი არ ჰყავდა. გიორგი მაზნიშვილს, რომელიც იცავდა თბილისს და ნოე ყორღანიამ გადააყენა, სთხოვეს თურქები შემოსულნი არიან, ბათუმი ალებული აქვთ და იქნებ, მოახერხოთ, გააერთიანოთ ქართული ჯარი და დაუპირისპირდეთო. მან დაშლილი ჯარი შეკრიბა ისევე, ნითელ არმიებთან ერთად სათავეში ჩაუდგა მას და სამ დღეში აჭარა გაათავისუფლა.

თურქეთი არ ნებდებოდა, იურიდიულად ჩვენ გვეკუთვნის ეს ტერიტორია. დაიძაბა ვითარება, რა უნდა ექნათ და იმარჯვა პავლე ინგოროყვამ, მისმა გონებამახვილობამ. ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის საზღვარი მდინარე ჩოლოქზე გადის, მოგესხენებათ, ჩოლოქი არის გურია-აჭარის საზღვარზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ თურქეთს მთელი აჭარა მიჰქონდა. ვინაიდან, რუსულად ჩოლოქი არის ЧОЛОХ. პავლე ინგოროყვამ, რომელიც მოლაპარაკებებში მონაწილეობდა, თქვა, რომ აქ ჩოლოქი კი არა, ჭოროხი იგულისხმებაო. მან თავისი გონებამახვილობითა და დიპლომატიური ხელოვნებით მოახერხა ის, რომ ბათუმი და მთელი აჭარა დაგვიწარჩუნა, თუ არა წაღებული იყო. მაზნიშვილის ხმალმა და ინგოროყვას გონებამახვილობამ გადაარჩინა აჭარა.

ეს ამბავი კი უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში მოხდა, როცა საზღვრები დგინდებოდა თურქეთსა და საქართველოს შორის. კონსტანტინოპოლში ტარდება კონფერენცია, იქ კიდევ ერთხელ უნდა გადაწყვიტოს საზღვრების საკითხი. საქართველოდან თურქეთში მიდის დელეგაცია, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს საქართველოს საზღვრებზე. პავლე ინგოროყვას გაყოლა სთხოვეს, იქნებ, რამეში გავგვარკვიოთო. პავლე ინგოროყვა და რეზო გაბაშვილი გადაწყვეტენ, რომ თვითონაც ჩავიდნენ კონსტანტინოპოლში. ჩასვლის უფლება ოფიციალურად არა აქვთ, მაგრამ ორივე თავზეხელაღებული ადამიანია. ჩადიან ბათუმში, ძალიან დიდი ღელვაა, მიადგებიან ერთ კატერს, რომლის მეპატრონეც უარზეა, ასეთ ღელვაში ზღვაში ვერ გავალო. ამათ ხან ფული შეაძლეს, ხან იარაღით დაემუქრნენ და აიძულეს, რომ წასულიყვნენ. რეზო გაბაშვილი იგონებს, ისეთ საშინელ ღელვაში მოგვადით, ნავი ხან ცაში ავარდებოდა და ხან ქვესკნელში ჩადიოდა, მაგრამ მივეყვებოდით დინებასო. ამ დროს პავლე ინგოროყვას ორივე ფილტვში გახსნილი აქვს ქლექის პროცესი. ის ბავშვობიდან იყო ავად, მასზე ამბობდნენ, 20 წლამდე ან მიატანს, ან არაო. საბოლოოდ, 90 წელი იცოცხლა. ოთარ ჩხეიძე ამას ასე ხსნიდა: ძლიერი და გაუტყველი სული რა არის, თორემ კაცმა, რომელიც გამოტყვევებული ჰყავდათ, 90 წლამდე როგორ იცოცხლა და რა შედეგები დაგვიტოვაო.

პავლე ინგოროყვას თურქეთში ჩასვლა ქართული დელეგაციის ზოგიერთ წევრს არ მოეწონა, შენ აქ ყველაფერს აგვირე-დაგვირეო. თუ აქ ჯაშუშად შეგვრაცხეს, იცოდე, რომ ჩვენ არ დავიცავთ, ვიტყვი, რომ არც ვიცნობთ, არ ვიცით, ვინ არისო. როგორი ამბავია, მაგრამ იქ თურქები უფრო დაინტერესდნენ მისით, რადგან პავლე ინგოროყვა განათლებული კაცი იყო, ძალიან ბევრი რამ იცოდა, თურქებს ხეთებზე დაუწყო ლაპარაკი, ამ ტერიტორიაზე ოდესღაც ხეთები ცხოვრობდნენო, უძველესი ტომები, საიდანაც ეს სამყარო წამოვიდა. ჩვენ – ქართველებიც იქიდან მოვევიარეთო. თურქებს მოეწონათ ხეთებზე ლაპარაკი, ხეთურ გარემოზე, იმ ტერიტორიაზე ახლა თვითონ რომ არიან და მოიხიბლნენ. პავლეს ჰქონდა ოსტატობა ადამიანების მოხიბვლისა. მას თურქებმა უფრო დაუჭირეს მხარი, ვიდრე ქართული დელეგაციის წევრებმა. იქ მათთან კამათში გაიმარჯვა პავლე ინგოროყვამ და მაშინც მოახერხა, გარკვეული საზღვრები დაენარჩუნებინა საქართველოსთვის. არაფერს ვამბობ, მერე უკვე მთლიან აჭარის გადარჩენაზე.

პავლე ინგოროყვას ექსტაზურ ბუნებაზე სხვაც ბევრი რამ მეტყველებს, მაგალითად, სიყვარულის ძალიან დიდი უნარი. ქალმა, რომელიც მერე მისი მეუღლე გახდა – ქეთევან ბაქრაძემ, პავლე ინგოროყვას უარი უთხრა სიყვარულზე. მაშინ პავლემ გაუგზავნა მინა. ეს იყო ჩრდილო კავკასიური ჩვეულება, როცა ქალს შეყვარებული კაცისგან პარკში შეკრული მინა მოსდის, ის ამით ეუბნება, შენი გულისთვის ვიკლავ თავს, მოდი და შენი ხელით დამაყარე ეს მინაო. ქეთევანი მიხვდა, რომ პავლე ამის გამკეთებელი იყო, გამოქანდა მასთან და ნახა, რომ პავლეს გული აქვს გაგლეჯილი. ამის მერე, რა თქმა უნდა, ქეთევანი გაჰყვა პავლეს ცოლად. პავლემ კი არ ქნა, მისი სხეულიდან ეს ტყვია ამოვლოთ, დიდი სიყვარულის ნიშნად უნდა დამრჩესო. ერთი ტყვია ხომ უკვე ჰქონდა თბილისისთვის ბრძოლაში მოხვედრილი და ისიც დაიტოვა, ახლა ეს მეორე ტყვია, რომელიც სიყვარულისთვის თვითონ დაიხალა გულში და მთელი ცხოვრება, გარდა იმისა, რომ ჭლექი ანუხებდა და სისხლს ახველებდა, ეს ორი ტყვიაც ტრიალებდა მის სხეულში.

ასეთი ეპიზოდები არის მისთვის ნიშანდობლივი და ბუნებრივი და წარმოუდგენელია სხვაგვარი პავლე ინგოროყვა.

ჩაიწერა ნატო კორსანტიამ

# სამხალი — ფრიადი

თეატრ შავლაძე

2015 წელი მართლაც პოეტურად ბარაქიანი (გნებავთ ხელხვაგვინი!) აღმოჩნდა გენო კალანდიასთვის (არ ვგულისხმობთ საიუბილეო საღამოს, დაბადებიდან 75-ე წლისადმი მიძღვნილს — შოთა რუსთველის სახელობის აკადემიურ თეატრში, გნებავთ, „საგურამოს“ პრემიის მინიჭებას, და სხვა ღონისძიებებს, რაც თვალნათლივ ცხადყოფს პოეტის სახალხო აღიარებას) და მაინც, პოეტი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი სიტყვით რომ შემოვიხსაზღვროთ, ლექსით არსობს! დიახ, არსობს, ანუ, არსებობს, მოღვაწეობს, შემოქმედებს. ჯერ პოეტის „რჩეული“ მოველინა სალიტერატურო სივრცეს, შემდეგ ორტომეული, და სულ ახლახან — მასზე და მის შემოქმედებაზე მიძღვნილი ლიტერატურული წერილების, ესეებისა და ლექსების (408გვ.) კრებული — „ეპისტოლენი დროსა და სივრცეში“.

კრებულის შემდგენელ-რედაქტორი გვაუწყებს: „ასეთი ნიგნები შემთხვევით არ იქმნება, მით უმეტეს დღეს, როდესაც ვერავის ვერც ვერაფერს დაავალებ და (ხათრიოც) ვერც რამეს დააწერიან: და თუ ასეთი რამ მაინც მოხდება, ყოველთვის თვალნათლივ გამოჩნდება წერილის (ლექსის!) ავტორის გულწრფელობა და აზრზე (გონზე, აზროვნებაზე!) ძალადობრიობა-ძალდატანება; და, საერთოდაც, სწორედ ლიტერატურა (ჭეშმარიტი ლიტერატურა!) ვერ იტანს (ვერც ვერავის, ვერც ვერავის!) კრიტიკული აზროვნების სიყალბესა და ფარისევლობას. არსებობს ასეთი თქმულება: ერთ ბრძენთან ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი მისულა რჩევისათვის, ლექსის წერის ფინი მა(მარ)ნუხებს და როგორ მოვიქცე(ვ)ო? ამ დროისთვის როგორ იქცევიო, უკითხავს ბრძენს, — თავს ვიკავებო! — გულწრფელად უღიარებდა ყმაწვილი კაცი, — ჰოდა, თუ თავს შეიკავებ, შენზედ ბედნიერი კაცი არ იქნება, ამქვეყნად — ი! — დაუბოძლავს მრჩეველს. და მართლაც, ბენვის ხიდე სიარულს ჰგავს ჭეშმარიტი პოეზიის მსახურება, ერთგულება და მოღვაწეობა, ვინაიდან სწორედ პოეზიაში ჩანს ავტორისეული სიმშველცე და „ბამბის ჩხრიალის“ უკეთურება(ნი)ც. და ის სიბრძნეც, რომ, რაც არ უნდა ჭირი მალე — „თავი ჭირსა არ დამალავს“ (დავით გურამიშვილი) — სწორედ პოეზიაში წარმოჩნდება ავკარგინობის სანიშნავეცოდ.

გენო კალანდიას ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ეს ნიგნი, საჩუქარია არა მარტო მკითხველისათვის, არამედ, უპირველესად, პოეზიით მზიარებელთათვის. ასე რომ, ამ ნიგნსაც (თამამად!) შეიძლება ეწოდოს — „გულწრფელობის საგალობელი“.

ამ წინათქმედან თითქოს ყველაფერი ნათელია, და მაინც, ეს ნიგნი იმდენად გულწრფელია, საქმიანი, მეგობრული და, რაც მთავარია, მაღალი პროფესიონალიზმით დაღდასმული, რომ გიხარია და რწმენა გიბრუნდება, რომ „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს...“ — ქართულ გენში ყოველივე ის საუკეთესო, რთაც გამოირჩეოდა მარადჟამს ქართული სული და ამ სულის სიმბოლო — პოეზია — „საღმრთო საღმრთოდ გასაკონი სიბრძნის დარგი“ (რუსთაველი). ამგვარ მიმოხილვით წერილებს, რა თქმა უნდა, არ ჭირდება პანეგირიკი-დიტირამები; ისედაც ყველაფერი ცხადია და თვალნათელი; თუ პოეტურ ორტომეულში სევდას სიხარული ენაცვლება და პირიქით, რასაც მშობლიურ კუთხეს მოწყვეტა-განშორება განაპირობებს, ღვთისადმი მიძღვნილ „უფლის საგალობლებში“ პოეტი მომწანიე პილიგრიმად, სალოსად, განდობილ ერისკაცად და, ზოგადად, ეროვნულ მემკვიდრედ გარდასახვინდება. და ეს მათიანი მისი „გული, ცნობა და გონება“, ჩაკირული „მამული, ენა, სარწმუნოება“-ში. ვინც გენო კალანდიას ლექსებს თუნდაც ზერელედ გადაიკითხავს, უმაღლესად დარწმუნდება, რომ, მისთვის — „ვენების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულთ ტკობაში“ (გ. რჩეულიშვილი, „ალავერდობა“). ის მუდმივი მადიებელია სიტყვის, ფერის, ბგერის, სიტყვიერებითი სემანტიკის და ხატსახეობრივი განსახოვნებებისა. ბუღბუღი რომ გალობს, იგი, შემოქმედისადმი აღავლენს მადლიერებას, არც კოპნიაობს და არც თავს აწონებს ვინმეს. ეს მისი მოვალეობაა, დანიშნულება, ბუნება და ბუნების (ბუნებრივი) მსახურება. პოეტიც, გარკვეულწილად, ამ მაგალიტული ფრინველის მოვალეობას ითავისებს ბუნებაშიც და ადამიანურ-საზოგადოებრივ გარემო-ურთიერთობებშიც. პოეტისათვის, ისევე, როგორც მგალობელი ფრინველისთვის, არ არსებობს ამქვეყნიური საზღვრები, ის სივრცის შვილია (თუ გალიაში არ გამოკეტეს!), სწორედ ესაა მისი ბედნიერებაც და სევდის მიზეზიც; და მაინც, მისი პოეტური სული-ფრინველი ხან იქითაა — აფხაზეთში და ხან აქეთ — დანარჩენ საქართველოში, რომელიც ასე დაჰყვეს და გადაჯიჯგნეს ეშმაკისეულებმა (ძნელია, მათ მხოლოდ ავისმოსურნეები და მტერი ეწოდოს!). და მაინც, პოეტი, მისდა-სასახელოდ, რჩება ერთიანობისა და განუყოფლობის სიმბოლოდ, ქართულ-აფხაზეთი ერთარსებობის (ადამიანურის! სახელმწიფოებრივის!) პოეტურ ნიშანსეცტად. პოეტის სიტყვაც უფლის ნებაა და მისი საკუთრება! მთავარია, რომ პოეტმა იგალობოს და უგალობოს ამ ურთიერთობას — ყოფილს, ან-მიქრალსა და მომავალში გასაღვივებელს. „საგალობლებში უფლისთვის“ ციციანთელე-ბივით ციმციმებენ ამგვარი ნაპერკლები — თინა აშუბას, ანტიცა სმირის, ჯუმა ახუბას და სხვათა და სხვათა სახით. ჩვენ შეგნებულად არ მოგვყავს ციტატები მისი შემოქმედებიდან, რადგან, თავად უნდა მიხვიდე ნიგნთან, ნაიკითხო და გააცნობიერო თუ რას ნიშნავს ლექსი, პოეზია, სამშობლო და მამულიშვილობა. და მაინც, „საგალობლები უფლისთვის“ აღმოჩნდა ის ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო შემოიკრიბა გენო კალანდიას, როგორც პოეტისა და მამულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებითი წლების — წინარე, ახლანდელი და მომავალი არსიც, აზრიც, მიზანიც და, თავისთავად, შედეგიც.

უფალი — ჩემში და მე — უფალი! — აი, იდეური მიზნარსი ამ საგალობლების; მაგრამ, მართალია, ჩვენ, ყველანი, დღემთის ნებით უფლის შვილები ვართ, მაგრამ (მართლა, რამდენად ვართ ყველანი!) უფლის შვილები? — უფრო მართლად, უფლის მართალი (და ნამდვილი!) შვილები?! უფლის შვილობა ხომ ღირსება და მოვალეობაა თითოეული ჩვენგანისათვის და კიდევ: როგორ შვილებს ეწოდებათ უფლის შვილები? ან, განა, მართლა ყველა ღირსია უფლის შვილობის? და კიდევ მრავალი და მრავალი კითხვა — როგორ(?) და როგორი(?) — დაისმის „საგალობლების“ კითხვისას. პასუხი ერთადერთია: ცოდვა მომწანიე, გულწრფელი, უფრო სწორად — ცოდვათა შემეცნებელი და გამმეცნებელია ღირსი უფლის შვილობისა. სოლომონ ბრძენი — მეფე ამაოდ არ გვაფრთხილებს და მარადსულიერი სიფიზიზისათვის ამბობს: „არიან გზანი, რომელნი მართლ საგონებელ არიან წინაშე კაცთა, ხოლო უკანასკნელი მათი ჰხედავს ფსკერსა ჯოჯოხეთისასა“ (იგავ. 16,25); ხოლო დავით წინასწარმეტყველი პირდაპირ გვეტყვის — „გზასა ამას, რომელსა უდოდე, დამირწყეს მე მახე“(ფს. 141,3).

გენო კალანდია — საერო კაცი საეროვნობო პოეტი — ქმნის თავისი დროის შესაბამის საგალობლებს და, ამავე დროს, და ამავე დრო-სივრცის ტვიფარით დაღდასმულ „ფსალმუნებს“ გვთავაზობს. თუმცა-კი, თითოეული „ამგვარი“ ფსალმუნი, უკვე, თავისთავად, საცთურისაა, რომ „რამე“ არ შეგეშალოს, ფეხით არ წარიქცე და სიტყვით (სიტყვიერად!) არ წაიბორძიკო... ვინაიდან, ვინც უფალს უძღვნის თავს (სულს!), მას უთვალავზედ მეტ საცთურს უმზადებს და მტრობს დემონს. და თუ კარგად დავაკვირდებით, ჩვენი ამქვეყნიური (სუთისოფლიური!) ცხოვრება სულის წვრთნა იმქვეყნიური (ზესთასოფლიური!) მარადიული სიცოცხლისათვის. მაგრამ ერთია, როდესაც აზრს, გრძობას, ემოციურ განწყობას მიმართავ უფლისაკენ ანუ სულის განწმენდისათვის შემართავ საკუთარ „გულს, ცნობასა და გონებას“, და მეორეა, როდესაც პოეზიად აქცევ სულიერებას. პოეზიად გამოფინო და განახატო სულის ფერწერა, თუ შეუძლებელი არა, ძნელად შესაძლებელია! და მაინც, პოეზია ღწვავა უსასრულობაში — კაცობრიობის გონისმიერი გამყინვარებისაგან თავდასაცავად, უფო მეტიც — გადასარჩენად.

## გენო კალანდია



## ეპისტოლენი დროსა და სივრცეში

ეს ნიგნი — თავისი იდეური მრწამსითა და შინაარსით, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. და თანაც, როგორი „ახლობლური“ სიტყვებია მიზანი და მონაზონი. განა ჩიტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველდღე რომ უგალობს შემოქმედს, იღლება ღმერთის სადიდებლით? კი, ვგრძნობთ, მაგრამ ვიცით-კი — რამე ამის შესახებ? გენო კალანდიაც, მგალობელი ფრინველის დარად, თითქმის ყოველდღე აღუვლენს უფალს სამადლობელს, რომელიც, თავისთავად, ყოველი დღის აღსარებად გარდაიქმნება, ჩვეულებად, ჩვეულებრიობად, უფრო სწორად, ჩვეულებრიობის განსაწმენდელად.

კი-ბატონო! თუ პოეტი ღმერთს აბარებს აღსარებას (ყოველდღიურს!), რაღა შუაშია მკითხველი რატომ გამოაქვს სამზოვზედ ყველას გასაგონად, წასაკითხად თუ განსასჯელად? დიახ, რა შუაშია აქ მკითხველი? რაში სჭირდება შუამავალი უფალთან სააღსარებლად?! ეს ხომ შეიძლება ჩუმი ვედრებითაც აღსარულოს? და რახან ამას ბედავს (და ამას ჩნადის!), ე.ი. (მართლა!) რაღაც მიზანიც ამოძრავებს! რა და როგორია ეს მიზანი? — გამართლებული თუ გაუმართლებელი? აი, თავად არსი — თავისთავადობისა — ბენვის ხიდი — რომელიც აურჩევია პოეტს უფლის საველ და მისაახლებელ (ჯერ მისაახლოებელ!) გზაზე. დიახ, ის ჯერ (კიდევ!) მგზავრია — უფლის გზაზე შემდგარი და განსაწმენდელისკენ მიმავალი. განსაწმენდელი კი მისთვის ყოველდღიურობაა, ყოველი დღე — წუთით და წამით, ლოცვა-ვედრებით და, თავისთავად(ობრივ) პოეტური აღსარებით. და სწორედ ამ ყოველდღიურობაშია მთავარი გულწრფელობა, სინდისიერება და პატიოსნება; თორემ, უფალმა ხომ წინდანიე უწყის თითოეული ჩვენგანის გულის ზრახვანი და განა ამაოდ ირჯებოდა რუსთველი, როდესაც გემოძვრავდა „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია“-ნო? რას ნიშნავს „ცნობა?“, „ცნობა ხომ იგივე სულია — სულის გულიც და გონიც, რომელიც ჩვეულებრივ ხორციელ გულსა და გონს (გუნება-განწყობილებას!) აყურადებს, აწესრიგებს, ასამშვენისებს! სწორედ ეს „ცნობა“ ადამიანში სინდისის თვალის, გულისყურის მღვიძარების მზე, გონის მზერა, რომელიც ყოველდღიურობისა და სიცოცხლის საზრისის საწყისია. ეს „ცნობა“ თუ დაგეკარგა, მაშინ — რაოდენ ხანსაც იცოცხლო, ფასი არა აქვს მაინც არაფერს (აქვე, შეიძლება მარკუს აერელიუსის მოხმობაც, მაგრამ ნუ შევანუხებთ უდიდესი წარმართი იმპერატორის სულს!). როგორც ჩანს, ადამიანის (სიცოცხლეშივე!) ცხოვრებაში დგება ჟამი, როდესაც თავად შენი შინაგანი მე გაიძულე განწყობა მდუმარებისათვის, შესაცნობ(ელ)ად ისევ და ისევ შენივე არსებ(ობ)ისა, მეობა-ზნეობისა და ამქვეყნად შენი ყოფა-მოვლინების მიზნის აღსაქმელად, თუ რატომ მოგვაგვლინა უფალმა სწორედ ასეთი, სწორედ აქ და სწორედ ამ დროს და ა.შ. კითხვა, რა თქმა უნდა, თავისთავად ბადებს (უნდა ბადებდეს!) პასუხს, მაგრამ, როგორს?! და სწორედ რომ ამ პასუხის ძიებაში გავის ნუთისოფელი — ვისთვის როგორ და ვისთვის როგორი! გენო კალანდიასთვის — როგორც პოეტისათვის — სწორედ ამ კითხვა-პასუხის სივრცეა სამშენებელი მუდმივი შემოქმედებითი ღვთისათვის — უფალთან მისაახლოებლად, და, როგორც აღვნიშნეთ, სააღსარებოდ. ამ შემთხვევაში ფორმაც და შინაარსიც ურთიერთ-განაპირობებენ და ავსებენ ერთმანეთს — გარდასახული პოეტური ლოცვა-ფსალმუნად, ვინაიდან, ცხოვრების (საბოლოო!) მიზანი ერთადერთია — ღმერთი — ანუ, გონის სულიერება და სულის გონიერება. ადამიანი, მართალია, ნაკულულოვანი არსებაა, მაგრამ სწრაფავს სრულქმნილებისაკენ მიზანი უნდა იყოს მისი არსებისათვის, საერთოდ — არსებობისათვის, — აი, ამ საგალობლების პოეტური იდეაც და სულის(მიერი) შინა-არსიც! ასე, რომ მდუმარებით მეტყველებამ, ანუ, განდობამ უფალთან (სააღსარებოდ!) პოეტური სტრიქონებით, თავად პოეზიას შეჰმატა ხიბლიც და დანიშნულებაც. პოეზიისთვის კი — არც მეტია ნაკლები და არც ნაკლებია მეტი, ვინაიდან, ღმერთის ნიაღში სრულფასოვანდება უმცირესიც და, უდიდესიც. პოეზია — სულის შუქურაა და გააჩნია, ვინ როგორ მიეფარვანება...

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ დეკემბერი, 2015 წ.

# აფხაზეთი საქართველოს დამოუკიდებლობის ბათუმიდან



ჯემალ ბაშაბაძე

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ბრძოლა, შეიძლება ითქვას, რომ მისი გაუქმების დღიდანვე არ შეწყვეტილა. 1932 წლის შეთქმულების შემდეგაც, როცა საქართველოში წყევლია და დაისადგურა და აქ იმპერიალური მყარად გაიდგა ფესვები, იყვნენ ადამიანები – სასულიერო და საერო პირები, რომლებიც მუდამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე ოცნებობდნენ და ამისთვის იბრძოდნენ. მე-19 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისში უკვე ილია ჭავჭავაძის მეთაურობით იწყება ეროვნული მოძრაობა, რომლის დაგვირგვინებაც უნდა მივიჩნიოთ 1918 წლის 26 მაისს.

1917 წლის თებერვლიდან, როცა რუსეთში მოხდა მეორე დემოკრატიული რევოლუცია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლამ ორგანიზებული და ფართო ხასიათი მიიღო. სოციალ-დემოკრატებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა, მიუხედავად განსხვავებული პოზიციებისა, შეიმუშავეს საერთო პლატფორმა, რომელიც 1917 წლის ნოემბერში ეროვნულ კრებაზე გაფორმდა. ამ პლატფორმით ითქვა, რომ საქართველო უნდა იყოს ავტონომია რუსეთის შემადგენლობაში, ოღონდ, ფართო უფლებებით, ისეთი უფლებებით, როცა თუ საქართველოს კანონები წინააღმდეგობაში აღმოჩნდებოდა იმპერიის კანონებთან, მაშინ უპირატესობა მიენიჭებოდა საქართველოს კანონებს. ეს უკვე, ფაქტობრივად, შეფარვით სრულ დამოუკიდებლობაზე – ჯარით, პარლამენტით, მთავრობით – პრეტენზიის გამოცხადებას ნიშნავდა. თუმცა, ამასობაში რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდა. ამ ახალ ვითარებაში დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაცია შეიქმნა, რომელიც თავის მხრივ უდღეურად აღმოჩნდა. მისი დაშლა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 1918 წლის მაისში ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაზე ამიერკავკასიის ფედერაციამ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებთან მიმართებაში და განსაკუთრებით, თურქეთთან ურთიერთობის საკითხში, საერთო პოზიციის შეიმუშავება ვერ მოახერხა, დიდი დაპირისპირება იყო სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. ეს უკანასკნელი თურქეთის პოზიციას იზიარებდა, რაც საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამიერკავკასიის ფედერაცია, როგორც ერთიანი სახელმწიფო, დაიშალა.

ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის მეორე დღესვე, 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი წერილს წერილზე აგზავნიდა

ბათუმიდან, სადაც მიმდინარეობდა საერთაშორისო კონფერენცია და ეროვნულ საბჭოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას სთხოვდა. აკაკი ჩხენკელის დაწერილი მოთხოვნით, ეროვნულმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გადაწყვეტილება, რაც ბევრისთვის და მათ შორის ნოე ჟორდანიასა და მისი თანამოაზრეებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ვითარება იყო რთული, თურქეთი გვემუქრებოდა, რომ არათუ არ დაგვიტოვებდა ბათუმს, არამედ მოახდენდა მთელი საქართველოს ოკუპაციას. ამ დროს საქართველოსა და თურქეთს შორის შუამავლობა გერმანიამ იკისრა, რომელსაც თურქეთის ექსპანსიის შეჩერება შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დამოუკიდებლობას გამოვაცხადებდით. აქედან გამომდინარე, საქართველომ დამოუკიდებლობა გერმანიის რეკომენდაციით გამოაცხადა, რაც აისახა კიდევ დამოუკიდებლობის დეკლარაციაში, რომელშიც წერია, რომ ეროვნული საბჭო იძულებულია, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადოს.

26 მაისის შემდეგ საქართველოს უმთავრესი ამოცანა იყო საკუთარი ტერიტორიების შემოტკიცება და აღიარების მოპოვება. უპირველესად დიპლომატიური მისია გაიგზავნა მოსკოვში, მაგრამ ბოლშევიკებმა, სამწუხაროდ, დიდი ხნის განმავლობაში, 1920 წლამდე არ აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოს დამოუკიდებლობა დე-ფაქტო აღიარეს გერმანიამ და თურქეთმა. იმ პერიოდისთვის ევროპაზე უფრო ფართოდ გასვლა შეუძლებელი იყო, რადგან პირველი მსოფლიო ომი ჯერ კიდევ მძინვარებდა. ევროპის ქვეყნებმა საქართველო მხოლოდ ამ ომის დამთავრების შემდეგ, 1920 წლის იანვარში აღიარეს დე-ფაქტო. ევროპის ქვეყნების მხრიდან თავშეკავების მიზეზი იყო ისიც, რომ ჯერ არავინ იცოდა, როგორ დამთავრდებოდა სამოქალაქო ომი რუსეთში. როგორც საბჭოთა ხელისუფლება, ისე განსაკუთრებით თეთრგვარდიელები, საქართველოს

დამოუკიდებლობას არ ცნობდნენ. ევროპის ქვეყნები კი მხარს უჭერდნენ თეთრგვარდიელებს – კოლჩაკსა და დენიკინს. ამიტომაც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მიერ სამოქალაქო ომში გამარჯვების გამოკვეთის შემდეგ აღიარეს მათ საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ დე-ფაქტო და მერე დე-იურე. ასევე მოიქცა საბჭოთა რუსეთიც 1920 წლის 7 მაისს. ამ პერიოდისთვის რუსეთს ძალიან უჭირდა: მართალია, კოლჩაკი და დენიკინი დაამარცხა, მაგრამ ჯერ კიდევ წინ ჰქონდა ომი პოლონეთთან. ამიტომაც, სამხრეთიდანაც რომ არ გახსნოდნენ ახალი ფრონტი, დროის მოგების თვალსაზრისით, მათ დროებითი ზავი დადეს საქართველოსთან და აღიარეს მისი დამოუკიდებლობა.

საგულისხმოა, რომ რუსეთი ამ ხელშეკრულებაში საქართველოს აღიარებს თავის ისტორიულ საზღვრებში და ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან მიმართებაში გასაგებად წერია, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარი გადის ფსოლზე. ბუნებრივია, ამის იურიდიულად დაფიქსირება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან საქართველოს დე-იურე აღიარება დააჩქარა, რაც ქართული დიპლომატიის დიდი წარმატებაა. უნდა ითქვას, რომ ამიერკავკასიის სამ ნაწილად დაშლის შემდეგ, ეჭვქვეშ არავის დაუყენებია, ამ სამი ნაწილიდან, რომლის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო აფხაზეთი. ის, რა თქმა უნდა, საქართველოს შემადგენლობაში მოიაზრებოდა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი აფხაზეთის საოლქო სასამართლომ (სოხუმის ოკრუგი) განიხილა აფხაზეთის იურიდიული კუთვნილების საკითხი და მიიღო დადგენილება, რომ აფხაზეთი არის საქართველოს შემადგენლობაში, ვინაიდან აფხაზეთი შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში, ქუთაისის გუბერნია კი იყო საქართველო. 1918 წლის 11 ივნისს აფხაზეთის სახალხო საბჭოს და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, მართალია, იქ არ წერია სიტყვა-ავტონომია, მაგრამ, ფაქტობრივად, აფხაზეთი გახდა საქართველოს ავტონომიური ერთეული. საბოლოოდ, ეს საკითხი უნდა გადაწყვიტა აფხაზეთში დემოკრატიული წესით არჩეული ორგანოს, მაგრამ ასეთი წესით არჩეული ორგანო მაშინ არც საქართველოს ჰყავდა და არც აფხაზეთს. აფხაზეთში სახალხო საბჭოს არჩევნები 1919 წლის 13 თებერვალს ჩატარდა. 14-16

თებერვალს კი მიმდინარეობდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. 1919 წლის 12 მარტს შედგა საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა, რომელზეც კიდევ ერთხელ იქნა გამოტანილი 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. ფაქტობრივად, სწორედ ამ დღეს დამტკიცდა და დამფუძნებელი კრების ყველა წევრმა ხელი მოაწერა ამ ისტორიულ დოკუმენტს. ხელმოწერა შორის იყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს ხუთი წევრი: არზაყან (დემიტრი) ემუხვარი, ვარლამ შარვაშიძე, ვასილ ლურჯუა, ი. ფაშალიძე, ბ. ზახაროვი. ისინი ამავდროულად იყვნენ სოციალ-დემოკრატები და ამ პარტიის სიით გავიდნენ საქართველოს დამფუძნებელ კრებაშიც. 1919 წლის 20 მარტს აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო დადგენილება – „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“; მასში ჩაიწერა, რომ „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული“. აფხაზეთი დაბრუნდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ნიაღში და ეს მოხდა დემოკრატიული არჩევნების, პარლამენტარიზმის, ყველა დემოკრატიული ნორმის დაცვის გზით. ამ თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო 1918 წლი 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, კერძოდ, მოხერხდა საქართველოს მთლიანობის აღდგენა; დიპლომატიურ ასპარეზზე მიღწეულმა წარმატებებმა მისი შემდგომი დაცვის გარანტია შექმნეს.

სამწუხაროდ, იმ პერიოდში, როცა საქართველომ ისევ დაკარგა დამოუკიდებლობა და 1991 წლის შემდეგაც როცა კვლავ აღიდგინა იგი, ბევრი რამ განმეორდა და მეორედ, რადგან ჩვენს მტრებს მიზანი, მეთოდები, ხელწერა არ შეუცვლიათ. ამიტომაც, მაშინდელი ბრძოლის გამოცდილება კარგად რომ გვეკონოდა შესწავლილი, ბევრი რამის გათვალისწინებას და თავიდან არიდებას შევძლებდით. ასე რომ, 26 მაისის გაკვეთილებს ჯერ კიდევ შესწავლა უნდა, ჩვენ, ასევე, გვმართებს პატივი მივაგოთ იმ აფხაზებს, ვინც ამ დღეს მიღებულ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს აწერდა ხელს და აფხაზეთს საქართველოს ნიაღში მოიაზრებდა. გაგაცნობთ ამ დეკლარაციის ხელმოწერებს აფხაზეთიდან. სამწუხაროდ, ზოგიერთ მათგანზე ძალიან ცოტა რამ ვიცით, არადა, მათ ქმედებებს გაკვეთილის ძალა შეიძლება, დღესაც გააჩნდეს.

პოლიტიკას ჩამოშორდა და მთლიანად სამედიცინო საქმიანობას მიჰყო ხელი. აფხაზეთი და ქართული ენების გარდა, ფლობდა რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებს.

### ვასილ ლურჯუა

იყო აქტიური სოციალ-დემოკრატი. დაიბადა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშში. 1905 წლის დეკემბერში ბოლოდან 1906 წლის ივნისამდე იჯდა სოხუმის ციხეში სერგო ორჯონიკიძესთან, არზაყან ემუხვართან და თედო სახოკიასთან ერთად. 1919 წ. თებერვლიდან აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრია. მაშინ იქნა არჩეული საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრადაც. შემორჩენილია საქართველოს დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ სხდომაზე წარმოთქმული მისი გამოსვლა, რომელშიც იგი საქართველოს დამოუკიდებლობას და მის შემადგენლობაში აფხაზეთის არსებობას უჭერს მხარს. ვასილ ლურჯუა 1924 წლის აჯანყების დროს დახვრიტეს.

### დ.ვ. ზახაროვი

მასზეც მხოლოდ ცოტა რამ ვიცით. იყო რუსი სოციალ-დემოკრატი, მაგრამ უცნობია, როგორ მოხვდა სოხუმში. 1919 წ. თებერვლიდან არის, როგორც საქართველოს დამფუძნებელი კრების, ისე აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი. ამ ორგანოში არც ერთ ანტიქართულ გამოსვლაში შემჩნეული არ ყოფილა და არც ერთ შოკინისტურ თუ სეპარატისტულ მიმდინარეობას არ მიმხრობია. პირიქით, ყოველთვის ხმას აძლევდა საქართველოსთვის საჭირო და სასარგებლო გადაწყვეტილებებს.

### ი. ფაშალიძე

ძალიან ცნობილი ბერძენი ექიმი 1917 წლამდე და მერეც. აფხაზეთის ჯანდაცვის ისტორიაში მისი სახელი კარგად არის ცნობილი. 1919 წ. თებერვლიდან როგორც საქართველოს დამფუძნებელი კრების, ისე აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრია. იყო საქართველოს დამოუკიდებლობის თავგამოდებული მომხრე. შემორჩენილია მისი რამდენიმე გამოსვლა, რომლებშიც იგი პასუხს სცემს შოკინისტებს, ასევე, მობოლშევიკო ელემენტებს, სეპარატისტებს და იცავს საქართველოს ინტეგრირებას. 20-იან წლებში სოხუმში ცხოვრობდა. უცნობია, საბერძნეთში წავიდა თუ არა, ან სად და როგორ დაასრულა ისიცოცხლე.

### დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი (1880-1939 წ.წ.)

აფხაზი სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა 1880 წლის 26 ოქტომბერს სოფ. ჩხორთოლში (გაღის რაიონი), სწავლობდა სოფ. ოქუმის სკოლაში, საიდანაც ახალი სენაკის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს. 1902 წლიდან ქ. ქუთაისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეა. აფხაზი თავადი აქ ჩამოყალიბდა ქართველ პატრიოტად და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აქტიური წევრად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში დიდი როლი ითამაშა ქართველთა და აფხაზთა ერთიანობის განმტკიცების საქმეში. იყო 1919 წ. თებერვალში დემოკრატიული წესით არჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს პირველი თავმჯდომარე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. სწორედ მისი თავმჯდომარეობით 1919 წ. 20 მარტს სახალხო საბჭომ მიიღო აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ, რომლის საფუძველზე აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ნაწილი გახდა. 1919 წ. მაისიდან დემიტრი ემუხვარი აფხაზეთის მთავრობის (კომისარიატის) თავმჯდომარეა. 1921 წლიდან, საქართველოსა და მათ შორის აფხაზეთის იძულებითი გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაშია დევნილ ქართულ მთავრობასთან ერთად. გარდაიცვალა პარიზში 1939 წ. 24 მარტს. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე ნოე ჟორდანიას გვერდით.

### პარლამ შარვაშიძე (1889-1957 წ.წ.)

პირველი აფხაზი ექიმი-ქირურგი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა აფხაზეთში, კოდორის უბნის სოფ. ოხურეიში. სწავლობდა სოხუმში, 1909 წ. დაამთავრა სტავროპოლის გიმნაზია და სწავლა გააგრძელა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1918 წ. ოჩამჩირის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ამ დროიდან დაუახლოვდა სოციალ-დემოკრატებს, 1917 წ. ოქტომბერში აირჩიეს სოხუმის ოლქის მმართველობის დროებითი ორგანოს – სოხუმის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარედ. 1917-1918წწ. იყო აფხაზთა სახალხო საბჭოს ჯერ წევრი, მერე – თავმჯდომარე. მხარს უჭერდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიის სტატუსით შესვლას და ბევრს იღვწოდა ამ მიმართულებით. 1919-1921წწ. იყო დემოკრატიული წესით არჩეული აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოს – აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი, თავმჯდომარე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ,



ბეჟან ხორავა

პირველი გვერდიდან

ტაძრის ლაპიდარულ ნარჩენებში ადგილობრივი საერო და საეკლესიო ხელისუფალნი იხსენიებიან. მთავარეპისკოპოსი გიორგი, როგორც ჩანს ბედიელი მღვდელმთავარია, ხოლო გიორგი გურგენის ძე – ადგილობრივი დიდებული, რომელიც ტაძრის მშენებლობაში განეული ქტიტორული ღვანლისათვის სავედრებელ წარწერაშია მოხსენიებული; გიორგი ქოჩოლავა კი – ამ ტაძრის მღვდელმსახური.

საგულისხმოა, რომ ილორის წმ. გიორგის ეკლესიის ნარჩენებში წარმოდგენილია ქართული დამწერლობის განვითარების სამივე საფეხური: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. ნარჩენები ტაძრის მშენებლობის პერიოდით, XI საუკუნის I მეოთხედით თარიღდება და საინტერესოა იმ მხრივ, რომ დამწერ-

XIX საუკუნის ბოლოს ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში იპოვეს ვერცხლის ბარძიმი. მისი ზედაპირი ისევე, როგორც ბედიის ოქროს ბარძიმიცა, თაღებით რვა ნაწილადაა დაყოფილი. თითოეულ თაღში მოთავსებულია ფიგურა. შუა თაღში გამოსახულია აღსაყდრებული მაცხოვარი მალა აღმართული მაკურთხეველი მარჯვენით, მარცხენა ხელში – სახარებით. გვერდით თაღებში გამოსახულია მაცხოვრისკენ გადახრილი მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი ბარძიმითა და ფეშხებით. ილორის ბარძიმის თასის პირს მიუყვება ქართული ასომთავრული ერთსტრიქონიანი სავედრებელი წარწერა. ილორის ბარძიმი ბედიის ბარძიმის ანალოგიური იყო, მხოლოდ უფრო მცირე ზომის. ილორის ბარძიმის ადგილსამყოფელი ამჟამად უცნობია.

XVI საუკუნეში ოდიშის მთავრის ლევან I დადიანის (1533-1572 წწ.) სახელით ბედიელმა მთა-

თედრაც მოიშალა აფხაზთა ექსპანსიის გამო. ამ დროიდან, მოქვისწყალსა და ლალიძგას შორის ტერიტორია ცაიშელის სამწყსოში შედიოდა. მიუხედავად ძნელბედობისა, ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში ღვთისმსახურება თითქმის არასოდეს შეწყვეტილა.

XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის კონსული თბილისში ჟაკ ფრანსუა გამბა აღნიშნავდა: „აფხაზები და მეგრელები განსაკუთრებულ თავყანს სცემენ ილორის ეკლესიას, რომელიც სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარზეა და დაუსრულებლად შეუძლიათ ლაპარაკი აქ მომხდარი სასწაულების შესახებ“. 1848 წლის აპრილში ტაძარი ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ მოიხილა. ის წერს, რომ ტაძარი მოხატული იყო ფრესკებით. მან აღწერა სინმინდეები, გადმოიწერა წარწერები. ამავე ხანებში, აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის (1823-1864) თაოსნობით, ილორის წმ. გიორგის ეკლესია კიდევ ერთხელ განაახლეს.

1864 წლის ივლისში რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და უშუალო რუსული მმართველობა შემოიღო. ორი წლის შემდეგ, 1866 წლის აგვისტოში, სოხუმის ოკრუგის (აფხაზეთი), ოქუშის ოკრუგისა (სამურზაყანო) და ნებელდის გავრთიანებით სოხუმის სამხედრო განყოფილება შეიქმნა. სამურზაყანოც სამეგრელოს სამფლობელოს ჩამოაშორეს და სოხუმის სამხედრო განყოფილებას, აფხაზეთის შეუერთეს.

1868 წლის 27 მაისს, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელიც 1868-1886 წლებში აფხაზეთის ეპარქიის მმართველი იყო, ილორში ჩავიდა. გაბრიელ ეპისკოპოსმა ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში ნირვა ჩაატარა და შემდეგ ეკლესიის ეზოში შეკრებილ მრევლს ესაუბრა.

„ნაშუადღევს დავათვალიერე ძველი ხატები, – წერს გაბრიელ ეპისკოპოსი, – რომლებზეც ბევრი ისტორიული წარწერაა ქართულ ენაზე. პატარა, ვინრო და ნესტიან ეკვდერში ჩრდილოეთის მხრიდან რკინით შემოჭვილი სკივრში დაცულია ვერცხლისა და ოქროს სრულიად

1904-1907 წლებში ილორის წმ. გიორგის ეკლესია კიდევ ერთხელ განაახლეს, თუმცა ტაძარს საგრძობლად შეეცვალა იერი. 1911 წელს ტაძარი მხატვარ-არქიტექტორმა იაკობ რეისნერმა აღწერა. მისი ცნობით, ტაძარი დამახინჯებული და გავერანებული იყო. ეკლესია გადახურული იყო თუნუქით, კედლის მხატვრობა არსად ჩანდა, კედლები შეღებილი და შეღებილი იყო.

1912 წელს სოხუმის ეპისკოპოსმა ანდრეამ (უხტომსკი) ილორის წმ. გიორგის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთება განიზრახა. მის განზრახვას წინ აღუდგა ნოვგოროდის ეპარქიაში გადასახლებული ამბროსი ხელაია. 1913 წელს გაზეთ „ზაკავკაზიში“ მან გამოქვეყნა წერილები, რომლებშიც ერთ-ერთ არგუმენტად, თუ რატომ არ შეიძლებოდა ქართული კულტურის ამ კიდევ ერთი კერის მოშლა და რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთება, ავტორი ასახელებდა ტაძრის არქიტექტურული იერ-სახის დამახინჯების საფრთხეს, როგორც ეს მოხდა ფსირცხასა (ახალი ათონი) და დრანდაში. ამბროსი ხელაიას უკომპრომიზო ბრძოლამ ილორის წმ. გიორგის ეკლესიის დასაცავად, ნაყოფი გამოიღო და ის რუსულ მონასტრად გადაკეთებას გადაურჩა.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში, ათიზმისა და ანტირელიგიური კამპანიის დროს, აფხაზეთში მრავალ ეკლესიასთან ერთად, მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობისა, ილორის წმ. გიორგის ეკლესიაც დაიხურა. 40-იანი წლების დასაწყისში ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში ღვთისმსახურება აღდგა. 1952-1953 წლებში ეკლესია ხელახლა მოიხატა, 1959 წ. მისი გალავანიც აღადგინეს.

ილორის წმიდა გიორგის ეკლესია დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა და დღემდე ასეთად რჩება. აქ 10 ნოემბერს (ახ. სტ. 23 ნოემბერი) იმართებოდა ილორობა – ყველაზე დიდი დღესასწაული დასავლეთ საქართველოში. დღესასწაულზე უამრავი მლოცველი იყრიდა თავს დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხი-



2008 წლამდე

# ილორის წმიდა გიორგის ეკლესია

ლობის სამივე სახე ერთი და იმავე დროით თარიღდება; ამ წარწერების ამოკვეთიცი ერთი და იგივე პირი ჩანს.

ილორის წმ. გიორგის ეკლესიის ნარჩენებს უაღრესად დიდი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს ქართული დამწერლობის განვითარების, ილორის ეკლესიის ისტორიისა და ზოგადად საქართველოს ისტორიის კვლევისათვის.

ილორის წმ. გიორგის ეკლესია შუა საუკუნეებში ბედიის ეპარქიაში შედიოდა. ეპარქია მდ. დადისწყალსა (ამჟ. მდ. ოქუშისწყალი) და მდ. მოქვისწყალს შორის ტერიტორიას მოიცავდა.

ილორის წმ. გიორგის ეკლესია დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს სალოცავს წარმოადგენდა. ტაძარი მდიდარი იყო ქრისტიანული სინმინდეებით. დიდხანს ის ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ეკლესია-მონასტრების საეკლესიო ნივთების სალაროს წარმოადგენდა. ამ ტაძარში იყო დაცული ბედიის ბარძიმი (X ს.) და სხვა საეკლესიო სინმინდეები.

ილორის წმ. გიორგის ეკლესიის უმთავრესი სარწმუნოებრივი რელიკვია წმ. გიორგის ხატი იყო.

ილორის წმ. გიორგის კარები ხატი წარმოადგენს ვერცხლის დასაკეც, სამფრთიან, ძეწვით შემკობილ ხატს, რომლის წინა ნაწილზე გამოსახულია წმ. თევდორე და წმ. დიმიტრი განმარტებითი წარწერებით. ხატი იხსნება და შიგნით გამოსახულია ფეხზე მდგომი წმინდა გიორგი საომარ სამოსელში, რომლის მარჯვნივ ვედრების პოზაშია ბედიელი მიტროპოლიტი კირილე ჟუანისძე. ყველა გამოსახულებას განმარტებითი წარწერა ახლავს. გარდა ამისა, ხატის ლუსკუმაზე მოთავსებულია 15 სტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს ბედიელი მიტროპოლიტის კირილე ჟუანისძის მიერ ილორის ტაძრისადმი წმინდა გიორგის ხატის შეწირვის ამბავს.

წარწერაში კირილე ჟუანისძესთან ერთად დასახელებული არიან ოდიშის მთავარი გიორგი III დადიანი, რომელიც ოდიშის სამთავროს განაგებდა 1572-1582 წლებში და მისი თანამეცხედრე დედოფალი თამარი. სიუჟეტური თემა – წმ. გიორგი და სასწაულმოქმედი ხარი სრულიად ორიგინალურია ქრისტიანულ ხელოვნებაში. ის ქართული სინამდვილიდან არის გადმოტანილი და უკავშირდება საკულტო ცერემონიას, რომელიც გიორგობა დღეს ილორში იმართებოდა. ხატი დაცულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ვარებისკოპოსმა ანტონ ჟუანისძემ, შემდეგ კი ოდიშის მთავრის გიორგი დადიანის (1572-1582 წწ.) დროს ცაიშელ-ბედიელმა მიტროპოლიტმა კირილე ჟუანისძემ ილორის წმ. გიორგის ხატი შეამკეს.

ილორის ტაძარზე განსაკუთრებით ზრუნავდა ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.). მისი ბრძანებითა და სახსრებით შეკეთდა ილორის წმ. გიორგის ეკლესია. ამ დროს ხელახლა გადახურეს საყდარი, ხოლო დასავლეთის კარები ვერცხლით მოჭედეს. ოდიშის მთავარმა ტაძარს შესწირა მამულები, გლეხები, ოქროქსოვილი, შეამკო ჯვარ-ხატებით.

XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან ოდიშის სამთავროს მძიმე დრო დაუდგა. სრულ ანარქიას ერთვოდა აფხაზთა გამუდმებული თავდასხმები. თუქი XVI საუკუნის მიწურულსა და XVII საუკუნის დასაწყისში აფხაზებმა მიიტაცეს ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი – ტერიტორია ანაკოფიის მდინარესა (მდ. ფსირცხა) და მდ. კელასურს შორის, ახლა ისინი იწყებენ ბრძოლას მდ. კელასურის ამოსავლეთი მინაწყლის მისატაცებლად. ამ ამბების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ხოლო ჟამებთა ამათ შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან“.

1681 წელს აფხაზებმა მიიტაცეს ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდ. კელასურიდან მდ. ეგრისწყლამდე (მდ. ლალიძგა). როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, „გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა ადვსწერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნაყებიითა და ხმელითა და სტყუენიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და დაეშენებოდნ თვით აფხაზნი“. ამ დროსვე გაუქმდა დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები, რადგან ქრისტიანული ეკლესიის ფუნქციონირება აფხაზთა მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე შეუძლებელი გახდა. კარგა ხანს ოდიშსა და აფხაზეთს შორის საზღვარი მდ. ლალიძგაზე გადიოდა.

1730 წელს ოდიშში ოსმალი დამპყრობლები შემოიჭრნენ. თურქებმა ილორის წმ. გიორგის ეკლესია გადაწვეს. მაშინ განადგურებულია ტაძრის მოხატულობა.

XVIII საუკუნეში ილორის წმ. გიორგის ეკლესია აღადგინეს. ამ დროს იმერეთის მეფეებმა ალექსანდრე V-მ (1720-1752 წწ.), სოლომონ I-მა (1752-1784 წწ.), დავით II-მ (1784-1789 წწ.), სოლომონ II-მ (1789-1810 წწ.) მას ყმები და მამულები შესწირეს.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში ბედიის კა-



2008 წლის შემდეგ

სხვადასხვა სახისა და წარმოშობის უამრავი ნივთი და ქვა“. ეპისკოპოსმა დეკანოზ დავით მაჭავარიანს დაავალა მათი ნუსხის შედგენა, წარწერების გადმოწერა. თუმცა ცნობილი არ არის დეკანოზმა დავით მაჭავარიანმა დავალება შეასრულა თუ არა, რადგან მის მიერ შედგენილი ილორის სინმინდეების ნუსხა და გადმოწერილი წარწერები შემორჩენილი არ არის.

გაბრიელ ეპისკოპოსს ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში მღვდელი ზოსიმე ხელაია (ილორის ეკლესიის წინამძღვარი 1860-1895 წლებში) მასპინძლობდა. მისმა შვილმა ამბროსიმ, 1921-1927 წლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მოგვიანებით დაწერა ნაშრომი „სოფელი ილორი და ილორის წმ. გიორგის ეკლესია“, რომელიც დაკარგულად მიიჩნევა.

ილორის წმ. გიორგის ეკლესიის სინმინდეების გადარჩენის, მათი დაცვისა და სამეცნიერო მიზნით გამოყენებისათვის დიდად ზრუნავდა ეპისკოპოსი კირიონი (1917-1918 წწ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი). 1902 წლის 13 მაისს მან საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წინაშე აღძრა შუამდგომლობა ილორის წმ. გიორგის ეკლესიის ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე ნივთების საეკლესიო მუზეუმისათვის გადაცემის შესახებ, მაგრამ სინოდალურმა კანტორამ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

დან – მეგრელები, აფხაზები, სვანები, იმერლები, გურულები, – უამრავი შესანიშნავი სვანეთის სალოცავებიდან სანთელ-საკმეველი იგზავნებოდა. ილორის წმ. გიორგი სასწაულმოქმედად ითვლებოდა. ილორის წმ. გიორგი მიწვეული იყო ავადმყოფობისაგან განმკურნებლად, მართლმსაჯულების განმასხორციელებლად, ტყვეთა განმთავისუფლებლად, გლახაკთა ხელის აღმყრობლად, ომიანობისაგან შემწედ და მფარველად.

2008 წელს რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ ილორის წმ. გიორგის ეკლესიის რუსული მცირე გუმბათი დააშენეს, ფასადი თეთრად შეღებეს, რომელსაც მონითალო კანტები დაუყვება. ამით ეკლესიამ დაკარგა ქართული ზღოთმოძღვრული ძეგლისათვის დამახასიათებელი ნიშნები, დამახინჯდა მისი იერ-სახე და რუსულ სამრევლო, სოფლის ეკლესიას დაემსგავსა. აღმოსავლეთის ფასადი, სადაც ქართული წარწერები იყო ამოკვეთილი, მთლიანად შეღებილია. შეიცვალა ეკლესიის ინტერიერიც, ფრესკები შეათეთრეს.

ილორის წმ. გიორგის ეკლესიის არქიტექტურული იერ-სახის შეცვლამ შეაფოთა როგორც ქართული, ისე აფხაზური საზოგადოება. ისევე, როგორც XIX საუკუნეში, რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლება ცდილობს საბოლოოდ წაშალოს ქართული კვალი აფხაზეთში.

# გურამ ყურაშვილის ხსოვნას



გარდაიცვალა აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელას სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, გიორგი შარვაშიძის პრემიის ლაურეატი გურამ ყურაშვილი. ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის

მეოთხე კურსის სტუდენტი იყო, როცა გურამ ყურაშვილმა 1981 წელს აფხაზეთში, ქ. სოხუმში მოზარდთა ინტერნაციონალური კაპელას ჩამოყალიბება იტვირთა. მის მიერ შექმნილმა კაპელამ კი 1981-1992 წლებში დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და ევროპის არაერთ ქვეყანაში, საერთაშორისო საგუნდო მუსიკის კონკურსების I ადგილისა და გრან-პრის შეუცვლელი მფლობელი გახდა. გურამ ყურაშვილის მიერ შექმნილი ეს კოლექტივი მალე მთელ საბჭოთა კავშირსა და ევროპაში აღიარებულ საკონცერტო გუნდად იქცა, ხოლო გურამ ყურაშვილი – აღიარებულ ქორმაისტერად.

1995 წლიდან გურამ ყურაშვილი არის ქ. მოსკოვში, სადაც რუსეთის კულტურის სამინისტროსთან ერთად გახდა ერთ-ერთი ფუძემდებელი ამერიკული საგუნდო და კვარტეტული მუსიკის ფესტივალისა „ბარბერ-შოფ“. 1998-2004 წლებში ის იმყოფება სკანდინავიის ქვეყნებში და მონაწილეობს ნორვეგიისა და შვეციის საგუნდო მუსიკის პროექტებში.

გურამ ყურაშვილი 2005 წლიდან აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მოწვევით ისევ საქართველოშია, ქ. თბილისში და აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მმართველია. 2007 წელს ის ანსამბლის ბაზაზე ახალგაზრდა მომღერლებისაგან აყალიბებს კამერულ გუნდს, რომელმაც 2008 წელს უნგრეთის ქ. დებრეცენში „ბელა-ბარტოკის სახელობის“ თანამედროვე საგუნდო პროფესიული მუსიკის კონკურსზე III-ე ადგილი დაიკავა ევროპის მასშტაბით. მას ასევე გადაეცა დიპლომი – „ბელა ბარტოკის სახელობის 23-ე საერთაშორისო საგუნდო მუსიკის აღმოჩენა“.

2012 წელს აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელამ წარმატებით ჩაატარა საკონცერტო ტურნე ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში. ბარსელონის საერთაშორისო კონკურსზე „მონსერატის ოქროს ხმები“ გრან-პრის მფლობელი გახდა.

აგერ უკვე რამდენი წელია, რაც საქართველოს და თამამად შეიძლება ითქვას, უცხოეთის რამდენიმე ქვეყნის მსმენელი გულმოდგინედ ელის აფხაზეთის კაპელას კონცერტებს, მის მიერ შესრულებულ საგუნდო მუსიკის ჭეშმარიტ შედეგებს. სპეციალისტების შეფასებით „ხმათა დახვეწილობა, ტემბრთა შეწყობა, ანსამბლურობის უმაღლესი დონე, საშემსრულებლო სირთულეების დაძლევა, თანამედროვე რეპერტუარი და ახალგაზრდული შემართება“ ამ გუნდის სავიზიტო ბარათად იქცა.

ბოლო წლებში თბილისში გამართული საგუნდო მუსიკის ფესტივალზე, ისევე როგორც ზოგადად, ბოლო პერიოდის ქართულ საგუნდო შემსრულებლობაში, აფხაზეთის საგუნდო კაპელა ერთ-ერთ მნიშვნელოვან, საინტერესო და სიახლეებით აღსავსე კოლექტივად აღიარეს, რისი მთავარი ფაქტორიც გურამ ყურაშვილის მაღალი პროფესიონალიზმი, საქმის უბადლო ცოდნა და მისადმი უაღრესად თავდადებული დამოკიდებულება იყო.

მაესტრო გურამ ყურაშვილს, ქართული საგუნდო სივრცის თვალსაჩინო წარმომადგენელს, შარშან „აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელას 2015 წლის საკონცერტო პროგრამისათვის“ გიორგი შარვაშიძის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

გურამ ყურაშვილმა საკუთარი საქმით, პროფესიონალიზმით, ხელწერით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, აფხაზეთის და მთლიანად საქართველოს კულტურული ცხოვრების განვითარებაში, რისთვისაც ღირდა სიცოცხლე. თუმცა ძალიან სამწუხაროა და დასანანია, რომ მას ჯერ კიდევ ბევრი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი. ნათელში იყოს მისი სული და მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მინა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო

## 19 აპრილი, 2016 წელი

დღეს ჩვენ მივიღეთ მეტად სამწუხარო ცნობა – გარდაიცვალა ქორმეისტერი გურამ ყურაშვილი.

მაღალი სულიერებისა და მოსიყვარულე გულის, ენთუზიაზმით აღსავსე, შესანიშნავი პედაგოგი და ქორმეისტერი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა განვითარებაში.

მაესტროს საგუნდო კოლექტივები იპყრობდა უცხოელ მსმენელს და საერთაშორისო კონკურსებისა და ფესტივალების მონაწილეებს. გურამის წასვლა უდიდესი დანაკარგია ყველა ჩვენგანისათვის, მაგრამ დარჩა ხსოვნა, მისი იდეები და ოცნებები, რომელსაც უშუალოდ უზიარებდა კოლეგებსა და მოწაფეებს.

დღეს ჩვენ, მისი ამერიკელი მეგობრები, კოლეგები, ქორმეისტერები, ვინც პირადად ვიცნობდით გურამ ყურაშვილს, ვიხსენებთ მას და ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას.

პატივისცემით, ჯორჯ ბორდონი – სახვითი ხელოვნების საერთაშორისო ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი  
ვის კონსინის შტატი, ქალაქი მილოუკი, ამერიკის შეერთებული შტატები.



# გურამ ყურაშვილი განსაკუთრებული დირიჟორი იყო

ნოტებზე აღბეჭდილი მუსიკის ღირებულება თავისთავად ნულის ტოლფასია მანამ, სანამ არ შესრულდება. ხოლო ნაწარმოების გაჟღერება ითხოვს ინტერპრეტატორის, ერთგვარი თანაავტორის, მონაწილეობას. მაესტრო გურამ ყურაშვილი ქართული საგუნდო სივრცის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. სწორედ მისი მოღვაწეობის შედეგია, ის რომ აფხაზეთის საგუნდო კაპელა არა მხოლოდ უტოლდება, ზოგადად მუსიკის ამ ჟანრის, ევროპულ და მსოფლიო შემსრულებელთა მწვერვალს, არამედ სრულიად დამსახურებულად ლიდერის პოზიციებსაც იკავებს.

გურამ ყურაშვილს არ სწამდა აქსიომების, კლიშეების, სტანდარტების. იგი, როგორც შეეფერებოდა ხელოვნათა მონაწილეს უმცირესობას, მუდამ შემოქმედებით ძიებაში იყო და გააჩნდა მუსიკის საკუთარი შეფასება და ხედვა.

უკლებლივ ყველა ნაწარმოები, მომზადების სტადიაში განიცდიდა შემოქმედებით პროცესს, ანუ დირიჟორისეულ ინტერპრეტაციას და მხოლოდ ამის შემდეგ იძენდა იმ სახეს, რაც აკმაყოფილებს ყველაზე მომთხოვნ მსმენელს თუ პროფესიონალს, რომლებიც, მთელ მსოფლიოში სათანადოდ აფასებენ ბატონ გურამ ყურაშვილის გუნდის გამორჩეულ და უაღრესად მოქნილ ჟღერადობას.

აფხაზეთის სახელმწიფო კაპელას რეპერტუარშია ერთმანეთისგან სტილისტურად განსხვავებული, საგუნდო მუსიკის ჭეშმარიტი შედეგები, რაც დირიჟორისგან, ანუ ინტერპრეტატორისგან მოითხოვს სუბიექტურ აღქმას, ინდივიდუალურ ხედვას, და ამ ხედვის განხორციელების გზებს და საშუალებებს მოცემული მასალის, ანუ გუნდის შესაძლებლობის და კონკრეტული ნაწარმოების ხელწერის თავისებურების გათვალისწინებით.

კერძოდ, რეპერტუარში წარმოდგენილ ავანგარდულ-მოდერნისტულ ნაწარმოებებს ახლავს ინტონაციური სირთულე, რაც გამოიხატება ტონალური ცნების პირობითობაში, ჰარმონიის – აკორდების მულტისტრუქტურულობაში, რაც შემსრულებელს უქმნის გრანდიოზულ სირთულეს მასალის ათვისებასა და მისი მაღალმხატვრული დონის შესრულებაში.

ამ ამოცანის გადალახვას საქართველოში, ხშირ შემთხვევაში სიმფონიური ორკესტრებიც კი ვერ ახერხებენ, რაზეც მეტყველებს მათი რეპერტუარი. აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა ამ მხრივ იშვიათი გამონაკლისია. უდავოა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა და განსაკუთრებული ადგილი ენიჭება დირიჟორს.

სწორედ დირიჟორის, ბატონ გურამ ყურაშვილის დაუღალავი, სისტემური, მიზანდასახული შრომის შედეგია მსოფლიოში საუკეთესოთა შორის გამორჩეული საგუნდო კაპელა – აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა.

გუნდის რეპერტუარშია აგრეთვე ჩრდილო ამერიკული – ლუთერანული საეკლესიო ნაწარმოებები, როგორც ევროპული ასევე აფროამერიკული (სპირიტუელს) ჟღერადობის, რაც თავისთავად მოითხოვს დირიჟორისგან განსხვავებულ მიდგომას გუნდისადმი.

მაესტრო გურამ ყურაშვილის დამსახურება გახლავთ ის, რომ გუნდი შესანიშნავად დაეუფლა, ეგრეთ წოდებული, ცალკეული ხმების ერთმანეთში გადახლართვის ტექნიკას, და რთული, მულტისტრუქტურული აკორდების ფაქიზ, იდეალურად დაბალანსებულ forte-ს თუ piano-ს.

მაშინვე შეიძლება მისი გუნდის ჟღერადობა შევადაროთ ბუნების ხმების პოლიფონიას: ფოთლების შრიალს, ჩიტების გალობას, ოკეანის სუნთქვას, მზის ამოსვლის სიმფონიას თუ მშვიდ დაისს.

ბატონ გურამ ყურაშვილის გამორჩეული ხელწერის შედეგია ისეთი ნაწარმოებიც, როგორცაა „Lacrimosa“, სადაც იდეალურად არის შერწყმული (დირიჟორისეული ინტერპრეტაციით) სამი განსხვავებული სასიმღერო მანერა: სოლისტის „ტირილი“, ქალთა გუნდის გახსნილი (ლათინოამერიკული) მოთქმა და მამაკაცების „გრიგორიანული“ – გრილი ფონი.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ადგილი გურამ ყურაშვილის და მისი კაპელას შემოქმედებაში ეკავა თანამედროვე ქართველ კომპოზიტორებს. მათი მუსიკა მრავალფეროვანია და სტილისტურად განსხვავებული, ჰარმონიულად და მელოდიურად რთული და ლამაზი, რაც დირიჟორისგან მოითხოვს გუნდისთვის თითოეული მოტივის ახსნას და მთლიან კონტექსტში აღქმას, ცალკეული კომპოზიტორის მხატვრული ჩანაფიქრის ახსნას და მათ პოლიტონალურ, პოლიფონიურ ხელწერაში ჩანვდომას, რათა შედეგად მსმენელს მიენოდოს კომპოზიტორის ჩანაფიქრის სრულყოფილი, სრულფასოვანი ვერსია.

გუნდის რეპერტუარში შემავალი დიატონური, ტრადიციული მუსიკა, ატონალური ნაწარმოებები, მულტიმოდალური და მულტიტონალური შედეგები შესაბამისად მოითხოვს მრავალ განსხვავებულ საშემსრულებლო ტექნიკას და მეთოდებს.

დასაფასებელია ის, რომ საქართველოს ჰყავდა ხელოვანი გურამ ყურაშვილის სახით, რომელიც მუშაობდა თითოეულ შემსრულებელთან, თითოეულ ბგერაზე და ინტონაციაზე, ხმის მონოტონების არასტანდარტულ ტექნიკაზე და არნაუნებდა მათ საკუთარი ხედვის მართებულობაში.

ასე იძენდა თანამოაზრეებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოლექტიური შემოქმედებისთვის.

არ არის საკმარისი გუნდის დაკომპლექტება მაღალი კლასის პროფესიონალებით. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დირიჟორს, მის მუსიკალურ „ფილოსოფიას“.

განსაკუთრებული გუნდი სხვა არაფერია თუ არა განსაკუთრებული დირიჟორი. სწორედ ასეთი დირიჟორი გახლდათ დიდი მაესტრო – ბატონი გურამ ყურაშვილი.

თამაზ დარსაველიძე, მუსიკისმცოდნე.

# ნათელზე მავალი კაცი

მაია შონია

მართალია, საკუთარ ქვეყანაში, მაგრამ მაინც დევნილის სტატუსით ცხოვრება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მით უმეტეს, როდესაც სიცოცხლის ყველაზე აქტიური წლების გამოვლის შემდეგ ადამიანებს ამ სტატუსით საკუთარი ადგილის ხელახლა დაბრუნება მოუწიათ. თითქოს მათ მიერ მანამდე განვლილი გზა და ამ გზაზე მიმოფანტული საქმეები უკვალოდ გაქრა. მესხიერებას ყველაზე მძაფრად შემორჩა ის მოგონებები, რომელიც ომს და საკუთარი სახლკარის მიტოვების ენთაუნერელ ტკივილს დაუკავშირდა. თუმცა არიან რჩეულთა შორის რჩეულნიც, რომელთა თავს გადამხდარი ამბები ვერც ომმა, ვერც დევნილობამ და ვერც დრომ წაშალა. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რენალდ დგებუაძე, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა მისმა თანაქალაქელმა ოთარ აკიშბაიამ აღწერა წიგნში „რენალდ დგებუაძე“ და ამით მისი სახელი ისტორიას შემოუნახა.



ამ წიგნის პრეზენტაცია, რომელიც რენალდ დგებუაძის ხსოვნის საღამოდ იქცა, აფხაზეთის არ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვალერი არქანიას არტგალერეაში გაიმართა. საღამოს ესწრებოდნენ აფხაზეთის არ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა, აფხაზეთის არ განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, რენალდ დგებუაძის მეუღლე, აფხაზეთის პროფკავშირული გაერთიანების თანამშრომელი თამარ ვეფხვაძე, აფხაზეთის არ მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრები, ნათესავ-მეგობრები.

რენალდ დგებუაძის ცხოვრებასა და საქმიანობაზე საუბრისას ვახტანგ ყოლბაიამ აღნიშნა: „რენალდ დგებუაძეს დღეს 75 წელი შეუსრულდებოდა. მისი სახელს ჩვენ ყოველთვის ძალიან დიდი მონივნებით ვიხსენებთ, ვინაიდან მისი ცხოვრების წესი და დამოკიდებულება ყველაზე სათუთი საკითხების მიმართ სრულიად განსაკუთრებული იყო. მის მიერ თქმულ ნებისმიერ სიტყვასა და ფრაზას გასაოცარი ლაზათი ახლდა. რენალდ დგებუაძისთვის საკუთარი ქვეყანა იყო სალოცავი ხატი. პუმიანიზმისა და ადამიანებთან ურთიერთობის იშვიათი ტალანტი, სიყვარულის ნიჭი მას ყველასგან გამოარჩევდა. იყო პოეზიის მოყვარული და დიდი მცოდნე. ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენას. მისი ცოდნა და განათლება ირგვლივ მყოფთ ალფრთოვანებდა, ახალგაზრდობას კი მისაბამ მაგალითად ესახებოდა. პატივისცემით ვიხსენებთ მის მშობლებს, რომელთაც ქვეყანას ექვსი ღირსეული, ერთმანეთზე უფრო განათლებული შვილი აღუზარდეს. ძალიან დასანანი, რომ დღეს იგი ჩვენ შორის აღარ არის. ეს დიდი დანაკლისია ჩვენი საზოგადოებისათვის“.

რენალდ დგებუაძე გალის რაიონის სოფელ საბერიოში ეგნატე დგებუაძისა და ქსენია აქუბარდიას ექვსშვილიან ოჯახში 1940 წლის 13 ოქტომბერს დაიბადა. ექვსივე და-ძმამ სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის ასევე წარჩინებით დამთავრების შემდეგ რენალდ დგებუაძის წარმატებული საქმიანობა გალის რაიონში, ენგურჰესის მშენებლობაზე დაიწყო. აქ მან ათი წელი იმუშავა. შემდეგ მისი კარიერა პარტიული მიმართულებით გაგრძელდა. რენალდ დგებუაძემ ღირსეულად განვლო გზა პარტიული საქმიანობიდან გალის რაიონის მდივნობამდე. განსაკუთრებული მათემატიკური უნარები, წერის გამორჩეული ნიჭი, ლიტერატურისა და პოეზიის განუზომელი სიყვარული, უცხო ენების (რუსული, გერმანული, ინგლისური) ცოდნა, რაც იმ

დროისთვის იშვიათი და უჩვეულო იყო, მის საქმიანობას ყოველთვის გამოარჩევდა. „ის არა მარტო განსაკუთრებული ადამიანური თვისებების მატარებელი იყო, არამედ უპირატესად საქმის კაცი, პროფესიონალი მშენებელი, ორგანიზატორი, ერუდიტი, რომელიც ზედმიწევნით ფლობდა რუსულ და გერმანულ ენებს, ასევე საბაზო ინგლისურს. მსოფლიო პოეზიის უამრავი შედევი იცოდა ზეპირად და თავად ქმნიდა მშვენიერ ლექსებს.“ „გონება და კალამი უჭრიდა ბატონ რენალდს, მის შედგენილ დოკუმენტს ვერავინ აკადრებდა ჩასწორებას, ხოლო ამა თუ იმ გადაწყვეტილების მის მიერ რედაქტირებულ მუხლებს ვერდიქტის ძალა ჰქონდა,“ – იხსენებს რენალდ დგებუაძის მეგობარი რაფიელ გელანტია.

რენალდ დგებუაძის საქმიანობის პერიოდში გალის რაიონში არაერთი სანარმო გაიხსნა, რაიონი არაერთი მნიშვნელოვანი მიმართულებით განვითარდა. სიახლეებისკენ სწრაფვით გამოჩეული რენალდ დგებუაძე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის შემდეგ კიდევ უფრო წარმატებული გახდა. იგი 1991 წლის 13 ოქტომბერს მშობლიურ სოფელ საბერიოდან აირჩიეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე მოწვევის დეპუტატად. 1994 წლიდან უკვე აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა დევნილობაში გაგრძელდა. ამ პერიოდიდან ის უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი დევნილების დასახმარებლად და ზოგადად აფხაზეთის საკითხის მუდმივად წინ წამოსანევად ძალიან ბევრს აკეთებდა.

რენალდ დგებუაძემ თავისი პოზიცია მკაფიოდ გამოხატა 2002 წლის სექტემბერში დევნილობის ათი წლისთავისადმი მიძღვნილ სესიაზე წარმოთქმულ სიტყვაში: „10 წელია, აფხაზეთიდან დევნილები მშობლიური კერიდან აყრისა და არსებობის ზღვარზე ყოფნის მდგომარეობას ვიტანთ იმის რწმენით და შეგნებით, რომ აფხაზეთი საქართველოსათვის დაკარგული არ არის, რომ ეს დროებითი მოვლენაა, ისტორიის შეცდომაა, ბუნებრივი ისტორიული პროცესიდან დროებით გადახვევაა, ჩვენი დიდი მეზობლის, რუსეთის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის შედეგია, და დღე-ღამეზე ყველაფერი ეს გასწორდება, თავის ბუნებრივ კალაპოტში ჩადგება; დამნაშავენი დაისჯებიან, ჩვენ მშობლიურ კერას დაფუძრუდებით, ქართველები და აფხაზები ერთად ვიცხოვრებთ იქ, სადაც საუკუნეობით გვიცხოვრია.“

სამწუხაროდ, რენალდ დგებუაძე იმ საოცნებო დღეს ვერ მოესწრო, დევნილობაში აღესრულა – 2004 წლის 7 ნოემბერს გარდაიცვალა. მის ხსოვნას განსაკუთრებულად უფრთხილდებიან მისი შვილები – რენალი და ნიკა, მეუღლე თამარ ვეფხვაძე, რომელიც აცხადებს: „რენალდს მეორე სიცოცხლე რომ მიეცეს, დარწმუნებული ვარ, არაფერს შეცვლიდა, ისევე იმავე გზას გაივლიდა, რომელიც გაიარა...“

„რენალდ დგებუაძესთან მეგობრობა ბედნიერება იყო, რადგან პატიოსანი, გულწრფელი, ულაღატო და დახვეწილი ადამიანი გახლდათ. ყოველგვარი დაეჭვების გარეშე შეიძლებოდა მისი ნდობა. ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ უკანასკნელი წლების ქართველებმა მრავალი ადამიანის ნამდვილი სახე წარმოაჩინა უარყოფითი კუთხით, რაც სერიოზული დაფიქრების მიზეზს იძლევა, მაგრამ რენალდ დგებუაძემ კაცური კაცობისა და მეგობრობის საჯილდაო ქვა ღირსეულად ატარა,“ – ნათქვამია მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ გამოცემაში. თითქოს ამის პასუხად, რენალდ დგებუაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას არასდროს ივიწყებენ მისი მეგობრები.

წიგნში ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად შესულია რენალდ დგებუაძის ლექსები და მეგობრების სიტყვები და მოგონებები, რომლებიც მის პორტრეტს კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის.



### ბენო კალანდია:

...როცა სამურზაყანოში ჩავდიოდი, ჩემი ერთ-ერთი მასპინძელი რენალდ დგებუაძეც იყო. ის ლექსებს უკვე იშვიათად მიკითხავდა, სხვა საზოგადოებრივი საქმიანობით გახლდათ დაკავებული, ხან ენგურის თაღოვან კაშხალს საძირკველს უმაგრებდა, ხან რაიონის ახალგაზრდობას ედგა სათავეში...

გვრძნობდი, ვხვდებოდი: ვეკუების, ქვაჩახიების, შარიების, გოგონების სწორზე, ნათელზე მავალი კაცი იყო და მემამაყებოდა მასთან სიახლოვეც და ურთიერთობაც.

წლები, ასაკი არ ცვლის ადამიანის ბუნებას, ხასიათს, იგი ისეთივე რჩება, როგორც დაანათლა განგებამ, უზენაესმა. რენალდ დგებუაძე იმ კოდის მატარებელი იყო, რომელიც ოდიტოვანე მოსდგამდა მის გვარსა და ჯილაგს, – მისი ანასხლექტი, მისი ნაპერწკალი.

წერდა, ფიქრობდა, განიცდიდა. ყოფნა-არყოფნის შექსპირისეული სანამლავით სავსე ფილა ბოლომდე გამოსცალა, სასონარკვეთასა და იმედგაცრუებას ებრძოდა. ჟამიჯამ მრავალჯერ დასჯილი პეტრე შარიას დრამატულ პოემას თარგმნიდა.

გულით, ზნობით, – თავის სახელოვან წინაპრებს ჰგავდა. პროფილით, – ოდიშართა უშიშარი სარდლის დათუა ბისკაიას დროინდელ ხმაღვანონილ მხედარს.

„გალმა გასვლისა მსურველთა უკუღმა მიგვყავს ბორანი, გაგვიბატონდა, მგოსანო, სირეგენე შეუწონარი“, – უყვარდა ჩემთვის უცნობი ავტორის სტრიქონების მოხმობა. მართალი იყო, ცამდე მართალი, ვერ გაუძლო ყოველთა ჩვენთა პოლიტიკურ დემენციას და გაგვიმორდა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

### ბურამ სეძანია:

1952 წლის ზაფხულს სათანჯოს პიონერთა ბანაკში ვისვენებდი. ბანაკის დირექტორმა ეგნატე დგებუაძემ ბინა თავისი კაბინეტის გვერდით პატარა ოთახში მიმიჩინა ერთ ურჩქორორიან, შეუპოვარი გამოხედვის ბიჭთან ერთად, რომელსაც რენალდი ერქვა. საწოლებს შუა პატარა მაგიდაზე ღამის ნათურა იდგა და წიგნები იყო დახვავებული. ღამით რომ თვალს მივლულავდი, მარჯვენა იდაყუს დაყრდნობილი ჩემი მეზობელი წიგნს დასჩერებოდა, დილით რომ ვიდვიძებდი, ისევ წიგნს კითხულობდა... წიგნებს შორის, ბუნებრივია, ქართული კლასიკა ჭარბობდა...

ყოველ დილით... თუ ამინდი იდგა, კილომეტრნახევრით დაშორებულ ჯიხას მივაშურებდით. დავეხეტებოდით ნანგრევებში, ვიგონებდით აქაურობის წარსულს (უპირატესად შეთხზულს) და მომავალზე ვცინებოდით...

ვამაყობდი და ვიამაყებ იმით, რომ ღრმად ვიყავი ჩახედული რენალდის სულიერ სამყაროში... თაყვანს ვცემდი მის ნიჭს, სიცოცხლის აზრს მმატებდა მასთან მეგობრობა და ვუფრთხილდებოდი მას...

სხვისგან დაფარულ, შემოქმედებით წვაში ჰპოვებდა სულიერ შეგებას... შეეძლო ზეპირად მოეთხრო „დიდოსტატის მარჯვენის“, „მთვარის მოტაცების“, „გველის პერანგის“ მთელი თავები... როგორც კი სტილსა და ფორმაზე ჩამოვარდებოდა საუბარი, დიდი გატაცებით იშველიებდა მთელ პასაჟებს ჰეგელის „ესთეტიკიდან“. სკოლიდანვე ფლობდა გერმანულ ენას, შემდეგ ინგლისურიც შეისწავლა...

როდესაც სატკივართ-სატკივარზე – აფხაზეთის დაბრუნებაზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, რენალდი არასოდეს აპყლია მავანთა ილუზიას. მისი თვალსაწიერისათვის ბრძნული სიცხადით ჩანდა არსებული მდგომარეობა და პერსპექტივა...

რენალდ! ნეტარ ხარ, ძმაო; მიწიერი ყოფნა შენი, ტკივილით სავსე, ხალხის უმწიკვლო სამსახურს შესწირე და მანვე, შეუცდომელმა მსაჯულმა ცოდვა-მადლისა, რჩეულთა ხვედრი – თავისი უსაზღვრო სიყვარული მოგაგო წილ...

# აფხაზეთის მხატვრებმა ახალი ალბომი გამოაცხადეს



## ეკატერინე გადილია

გამოვიდა ალბომი – „აფხაზეთის თანამედროვე მხატვრები“, რომლის პრეზენტაციაც გაიმართა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს არტ გალერეაში. ალბომი მოიცავს აფხაზეთის მხატვრების ფერწერას, გრაფიკას, ქანდაკებას, დეკორატიულ გამოყენებით ხელოვნებას, სცენოგრაფიას. მისი დიზაინერია მხატვარი გოგი წერეთელი. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, მხატვარ ნუგზარ მგალობლიშვილის


თქმით „ალბომში წარმოდგენილია ყველა თაობისა და მსოფლმხედველობის, სახვითი ხელოვნების განსხვავებული უნარისა და მიმართულების მხატვართა ნაწარმოებები. მისი გამოცემა მიზნად ისახავს დევნილობის მძიმე პირობებში მყოფ მხატვართა შემოქმედების პოპულარიზაციას და მათი ხელოვნების წარმოჩენას“.

აფხაზეთის მხატვრებს ალბომის გამოცემა მიულოცა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა და განაცხადა: „ყველა მხატვარს ვულოცავ ამ არაჩვეულებრივი ალბომის გამოცემას, რომელიც აფხაზეთისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. ვისურვებდი, რომ მალე აფხაზი და ქართველი მხატვრების ერთობლივი ალბომი გამოგვეცეს“.

სალამოს დევნილი და არადევნილი შემოქმედებითი ინტელიგენციისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



## ყოიხალოს ღის გონების თვლით



საქართველოს ჟურნალისტიკა შემოქმედებითა კავშირმა სოხუმელი ჟურნალისტი, წლების განმავლობაში გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ განყოფილების გამგე დონა კოლხი – დოდო ნარმანიძე „ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“ სერგეი მესხის სახელობის პრემიით დააჯილდოვა.

ვულოცავთ ქალბატონ დოდოს ამ აღიარებას და დიდ ხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ. აქვე გთავაზობთ მინიატურებს მისი ახალი წიგნიდან: „ჟურნალისტიკის გონების თვლით: საბედისწერო ფერიცვალება“.

## სევდის ფურცელი

მდინარის პირას ვიჯექით, თითქმის ყოველდღე. ქალაქისგან ვაკეთებდით ქათქათა ნავებს და იმედით ვაყოლებდით წყლის ჩქარ დინებას. ცას შევცქეროდით ალტაცებით, ოცნების თვლით. მზე გაზაფხულის პირს იბანდა შხაპუნა წვიმით. დღეები იყო ღვთაებრივი ფუნჯით ნახატი.

მინდორს ეფინა მოხასხასე მწვანე ხავერდი; სივრცეს ავსებდა სააპრილო ხობბის ყვილი და იფრქვეოდა ათასი ფერი... ჩვენ არ ვიცოდით, თუ რა იყო ბედის ტრიალი!

ახლა სულ სხვაა. დრომ გვასწავლა ცხოვრების სიბრძნე. ეს მერამდენე წელმა კარზე დაგვიკაკუნა; კიდევ ბევრი გვაქვს სატკივარი და საფიქრალი!..

მივდივართ ერთად და არა გვაქვს არაფრის შიში; ვართ ბედნიერი! თუმცა, რა არის ქვეყნად უცვლელი?!..

ყველას ერგება წუთისოფლის სევდის ფურცელი.

## ჯაქმანი

სავსე მთვარე მსუბუქი რხევით მიიპარება ტირიფების ხეივანში. ცა ლურჯია. ვნებიანი ღამეა. თეთრ ალვის ხეს მიყრდნობია ქალ-ვაჟი; უმზეოდაც რა ღამაზად ჩანს! თითქოს იძვრის ფეხაკრეფით ყოველი; ყველაფერი უცხო ზღაპარს ჰგავს.

...წყაროს პირას იწვის ორი სილუეტი; ყვავილები დაუფურცლავს ქარს.

## მასი

ჩემს ბაღში წვიმა ჩამოდის მწვანე. ჩანს, ვარდფურცლობის უჩვეულო დამდგარა ყამი. სიმინდის ყანებს ანანავებს ნიაფი ფრთებით. შორს, ბორცვებს იქით თეთრი ფთილა ირხევა ნისლის.

ნეტარებაა! შხაპუნა წვიმა, რა საიდუმლოდ გამოსცემს ჰანგებს! მიყვები ბილიკს წუთისოფლის ნაპირებს გასწვრივ... ცისა და მიწის შეხებას ვგრძნობ, – განაოცები დღითა და ღამით.

პატარა წყარო მცირე შეხებებს აპკურებს ირგვლივ; ყვავის ლილია – თეთრი მავია, და გრძნეულ მიწას აყურადებს სამყურა ისევ...

შრომობს ფუტკარი, ყვავილების ციალით იწვის...

ზღვა შემეცნების დამდგარა წამი!

## მოახლოება

ზაფხულის ხვატი კარგა ხანია დაცხრა. აგრილდა. დგას შემოდგომა – უჩვეულო ფიქრების გორა. მთებში ჩახლართულ ბილიკებზე სევდიანად ჩანოლილა ნისლი; არავენ იცის საით გაფრინდა მოგალობე ფრინველის გუნდი; მხოლოდ მდინარის პირას ზის ფრთოსანი ორი, – წეროს მსგავსი.

სიმინდის და ხორბლის ყანებს დაუყრიათ ნაყოფი და აკონილი ზვინები გაუჩეჩავს ქარს. ტორტმანებენ მაღალი ხეები. ქანაობენ შიშდაცემული ტოტები. შფოთავს დრო და სივრცე, იცვლება ყოველივე...

კარზეა ზამთარი. მზე დაშვებულა; ალმაცერი სხივები მისი, თითქოს იმსხვრევა ოქროს მარცვლად და სცივია ჰორიზონტს იქით. სადაცაა, დაიქროლებს ქარბუქა და გულსაკლავად აქვითინდება წინწარში სკვინჩა. ყვავები, როგორც ყოველთვის, დაიწყებენ დაშმორილი ფოთლების ძენძვას – საზრდოს ძენძვას. ბუჩქებში იწვივებს პატარა ჩიტი; ნეკერჩხალის ტოტზე შაშვი მწარედ დაიჭახჩახებს... ყველას გაუჩნდება მეტი საფიქრალი და საზრუნავი...

მოდის ზამთარი – ცისა და მიწის თეთრი ხეივანი! რა იდუმალია – ყოველი მოახლოება!...

## რიცმი

ზამთრის პირველი დღეები დადგა. სინესტეს შთანთქავს უხვად ჩამოშლილი ფოთლები. მიჩუმებულან ჩიტები. ნაბლის ხის, თითქმის ჩამომტყდარ ტოტს – ქარი უიმედოდ აკონწიალებს.

მზე ღრუბლებში ჩაძირულა მკრთალი, უსხივო. დღეს, აქ ყველაფერს უმონყალოდ შეცვლია ფერი. ყინვა და თოვლი, სადაცაა, დაისადგურებს. აწრიალდება ფრინველთა გუნდი და მათ, ისევ პეშვით დაუყური მარცვალს; იქნებ, შიმშილს გადავარჩინო!

ოცნებას ჩემსას ვერ გაძარცვავს დროის დინება. მჯერა, კვლავ დარეკავს გაზაფხულის მთვლემარე ზარი და ბაღში დაიწყება დღესასწაული – გაზაფხული – სიცოცხლის ახალი რიტმი!..